1985
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

ივნისი **№ 6** ИЮНЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ კულტურის და განათლების სამინისტროების კოლეგიების 1985 წლის 11 მაისის ერთობლივი დადგენილება

## ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მოსწავლეთა სასულე ორკესტრების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

მოსწავლეთა სასულე საორკესტრო კოლექტივების პოპულარიზაციის, მასობრიობის, არსებული კოლექტივების განმტკიცებისა და ახალი კოლექტივების შექმნის მიზნით და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების და კულტურის სამინისტროების კოლეგიებმა დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. 1985 წლის 7-9 მაისს ჩატარდეს მოსწავლეთა სასულე ორკესტრების რესპუბლიკური დათვალიერება.
2. დამტკიცდეს დათვალიერების ხარჯთაღრიცხვა.
3. დაევალოს კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, განათლებისა და კულტურის შესაბამის ორგანოებს უზრუნველყონ დათვალიერება-კონკურსის ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მომზადება და ჩატარება.
4. დაევალოს გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ და რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებს აღნიშნული ღონისძიების ფართოდ გაშუქება.
5. სამივლინებო ხარჯები გაღებულ იქნას განათლების განყოფილებათა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ხაჩიძე

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე
ი. გამრეკელი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

F 5300

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების 1985 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება

## ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის რესპუბლიკაში არსებული სისტემის, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიებმა, მოისმინეს და განიხილეს რა ცნობა „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის რესპუბლიკაში არსებული სისტემის, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ", გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დაევალოს რესპუბლიკის სახალხო განათლების განყოფილებებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიურ კოლექტივებს მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლება და ესთეტიკური აღზრდა წარმართონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შესაბამისად;

1. 1. შექმნან ყველა პირობა სკოლაში ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, სრულყონ აღნიშნული საგნების მასწავლებელთა რაიონული მეთოდგაერთიანებების მუშაობა, პრაქტიკაში დანერგონ ღია გაკვეთილების ჩატარება, მუშაობის დადებითი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება. ესთეტიკური ციკლისა და სხვა საგნების სწავლების პროცესში მიაღწიონ საგანთაშორისი კავშირების საინტერესოდ გამოკვეთასა და მის შემდგომ განვითარებას. გამონახონ საშუალება იმისათვის, რომ სკოლებში შეიქმნას სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის კაბინეტები, უზრუნველყონ თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებებით მათი სათანადო აღჭურვა;

1. 2. გაზარდონ დრამატული წრეების, კინოლექტორიუმების, ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების რაოდენობა, მათში მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით მასიურად ჩაბმის მიზნით;

1. 3. საქმიანი კონტაქტები დაამყარონ კულტურის დაწესებულებებთან. მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების განვითარებისა და მხატვრული თვალსაწიერის გაფართოების მიზნით პრაქტიკაში ფართოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანერგონ ექსკურსიების, გასვლითი გაკვეთილების მუზეუმებში, გალერეებში, ღირსშესანიშნავ ადგილებში ჩატარება, მოაწყონ საინტერესო ხასიათის შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, კიდევ უფრო სრულყონ და მრავალმხრივი გახადონ ტრადიციულ რესპუბლიკურ კვირეულებში მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა.

2. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად სრულყოს ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე მასწავლებელთა გადამზადების სისტემა. მოამზადოს და ერთი თვის ვადაში განსახილველად წარმოადგინოს წინადადებები მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ,მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუდიების მასწავლებელთა, ბავშვთა თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში არსებული მხატვრული წრეების ხელმძღვანელთა გადამზადებასთან დაკავშირებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს:

— სახელმძღვანელოების სამმართველოსთან და მომარაგების მთავარ სამმართველოსთან ერთად განახორციელოს ღონისძიებები სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა სათანადო სასწავლო მეთოდური ლიტერატურით, სასწავლო-თვალსაჩინო მასალით უზრუნველსაყოფად.

— კადრების სამმართველოსთან ერთად განახორციელოს არსებითი ღონისძიებები მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში კვალიფიციური კადრებით სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დასაკომპლექტებლად, რისთვისაც უზრუნველყოს მოთხოვნათა წარმოდგენა კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური ინსტიტუტის გამოშვებულ კადრებზე.

4. დაევალოს კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების, სახელმწიფო კოლექტივების ხელმძღვანელებს:

— ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურ კოლექტივებს მოზარდი თაობის ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის, მათში ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი ინტერესის აღძვრის, შემოქმედებითი მიდრეკილებების მქონე ახალგაზრდობის გამოვლენისა და მათი სწორი პროფესიული ორიენტაციის საქმეში; აიღონ შეფობა ცალკეულ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებზე, მოაწყონ ერთობლივი ღონისძიებები: თეატრალურ-მუსიკალური საღამოები, დისპუტები, ვიქტორინები, შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, დრამატურგებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან და ა. შ.

— შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარონ სოფლის სკოლებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და შესაფერის[illegible]რით უზრუნველყოფის, ბავშვთა თვითმოქმედების განვითარების, ახალი მხატვრული წრეებისა და კოლექტივების შექმნის, არსებულის განმტკიცებისა და პოპულარიზაციის საქმეში. შეიმუშაონ სოფლის მოსწავლეთა კულტურული მომსახურების კომპლექსური გეგმები, სასკოლო ბიბლიოთეკების ბაზაზე გაავრცელონ მშობლიური ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ისტორიისა და შრომის მასწავლებლებისათვის საცნობარო და საინფორმაციო ცენტრების შექმნის გამოცდილება.

4. 1. ნება დაერთოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტს, რათა სარეჟისორო და სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებმა სპეცპრაქტიკა გაიარონ ქ. თბილისის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, ჩამოაყალიბონ დრამატული, მხატვრული კითხვის წრეები, დადგან საკურსო სპექტაკლები და ა. შ.;

4. 2. ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო და საესტრადო-საცირკო ხელოვნების სასწავლებელმა მოამზადოს სამეჯლისო და მსოფლიო ხალხთა ცეკვების სპეციალისტი ქორეოგრაფები.

5. ეთხოვოს შემოქმედებით კავშირებს:

კულტურის სისტემის ორგანოებსა და კოლექტივებთან ერთად ყოველმხრივ განავითარონ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედებისადმი დახმარება, მიანიჭონ ღრმა და მრავალმხრივი ხასიათი ხელოვნების მუშაკთა კავშირს სკოლებთან.

6. ეთხოვოს სახკინოს:

სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიას დაუკვეთოს დოკუმენტური ფილმები სკოლის საქმეებსა და იმ სიახლეებზე, რაც მის ცხოვრებაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების პროცესში მკვიდრდება განათლებისა და კულტურის სამინისტროების მიერ სახსრების გაღებაში წილობრივი მონაწილეობით (დიაფილმების სერიები ფერწერის, გრაფიკის, არქიტექტურის, ქანდაკებისა და ხელოვნების სხვა დარგებზე, სლაიდების, დიაპოზიტივების სერიები ქართული, რუსული, საზღვარგარეთული ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე და ა. შ.).

7. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) სისტემატურად გააშუქონ მოზარდი თაობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის საკითხები, მეტი ყურადღება დაუთმონ მოწინავე პედაგოგთა გამოცდილების პროპაგანდას.

8. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, მოსწავლე ახალგაზრდობის

მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების, მისი შემდგომი სრულყოფის, ყველა იმ სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის შესაძლებლობათა კოორდინაციის მიზნით, რომელთაც ამ საქმეში თავიანთი წვლილის შეტანა შეუძლიათ, მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან საუწყებათაშორისო საბჭოს შექმნა. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს საბჭოს სავარაუდო შემადგენლობა და დებულების პროექტი განსახილველად.

9. დამტკიცდეს მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა 1985—1986 წლებისათვის.

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ა. ზარქუა) და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებების სამმართველოს (ამხ. რ. ვახტანგოვი).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **თ. ბაღურაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა

| შესასრულებელი საკითხი | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი შესრულებაზე |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1. V-VII კლასებისათვის სიმღერა-მუსიკის სასწავლო პროგრამების მომზადება, განხილვა-დამტკიცება და სკოლებამდე დაყვანა | 1985—1986 წელი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, კომპოზიტორთა კავშირი |
| 2. სამუსიკო სტუდიების ახალი სასწავლო პროგრამების შედგენა, რესპუბლიკის რამდენიმე სტუდიაში მათი დანერგვა | 1985—1986 წელი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 3. სამუსიკო და ქორეოგრაფიული სტუდიების დებულებების გადამუშავება, სკოლებამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებებამდე მათი დაყვანა | 1985 წლის 20 აგვისტო | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 4. ქორეოგრაფიული წრეების სამუშაო პროგრამების მომზადება, სკოლებამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებებამდე მათი დაყვანა | 1985 წლის 20 აგვისტო | განათლების სამინისტრო, კულტურის სამინისტრო |
| 5. დაწყებითი კლასებისათვის (I-IV) მუსიკის ფონოქრესტომათიის გამოცემა | 1986 წელი | კულტურის სამინისტროს შესაბამისი განყოფილება, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველო, გრამფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდიის“ საქართველოს განყოფილება |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 6. დაწყებითი კლასებისათვის (I-IV) მუსიკის ქრესტომათიის გამოცემა | 1985 წელი | კულტურის სამინისტროს შესაბამისი განყოფილება, განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 7. I-III კლასებისათვის სახელმძღვანელოების მომზადება სახვით ხელოვნებაში | 1985 წელი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 8. სახვითი ხელოვნების სწავლების ზოგიერთი საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში — სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის | 1985 წელი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 9. ხელოვნების საკითხებზე ხუთტომეულის დარჩენილი ტომების მომზადება (ლიტერატურა, კინო, სახვითი ხელოვნება) და გამოცემა | 1985—1987 წლები | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო და სახელმძღვანელოების სამმართველო |
| 10. სახვითი ხელოვნების სწავლება—მეთოდური სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის | 1985 წლის ივნისი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 11. ქართული ხალხური სიმღერების კრებულის მომზადება და გამოცემა (მოსწავლეთა საგუნდო კოლექტივებისათვის) | 1985 წელი | კულტურის სამინისტროს შესაბამისი განყოფილება, განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობისა და სახელმძღვანელოების სამმართველოები, აღმზრ- |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| | | დელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, კომპოზიტორთა კავშირი |
| 12. სახვითი ხელოვნების ნორჩ მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბის შექმნა, მეცადინეობების საქართველოს ტელევიზიით გადაცემის ორგანიზაცია | 1985 წელი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 13. საბავშვო საგუნდო სიმღერების კრებულის მომზადება და გამოცემა | 1986 წელი | კულტურის სამინისტროს შესაბამისი განყოფილებები, განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, კომპოზიტორთა კავშირი, კულტურის სამინისტრო |
| 14. ტრადიციული საბავშვო კვირეულების მომზადება და ჩატარება (თეატრის, კინოს, მუსიკის, წიგნის, მხატვრის და ა. შ.) | ყოველწლიურად | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, შესაბამისი შემოქმედებითი კავშირი |
| 15. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის კომპლექსური აბონემენტის შექმნა, მათი ასაკის შესატყვისი ღონისძიებების გათვალისწინებით | 1985 წლის სექტემბერი | კულტურის სამინისტრო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, თბილისის სახალხო განათლების სამმართველო |
| 16. ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკური შეკრებისა და კონკურსების ჩატარება | ორ წელიწადში ერთხელ | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 17. საბავშვო კინოსტუდიების რესპუბლიკური ფესტივალი „თბილისური აისი“ | ორ წელიწადში ერთხელ | აღმზრდელობითი მუშაობის სამართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე |
| 18. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა | ორ წელიწადში ერთხელ | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 19. საბავშვო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების შექმნის ორგანიზაცია, სათანადო მეთოდიკური რეკომენდაციების მომზადება | 1985—1986 წლები | კულტურის სამინისტრო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე |
| 20. მუსიკისა და სახვითი ხელოვნების მასწავლებელთა, საგუნდო, ქორეოგრაფიული და დრამატული კოლექტივების ხელმძღვანელთა, სამუსიკო სტუდიების მასწავლებელთა გადამზადების კურსების ორგანიზაცია | სპეცგეგმით | კულტურის სამინისტრო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი |
| 21. საბავშვო მუსიკის სხვადასხვა ჟანრში რესპუბლიკური კონკურსების მოწყობა | 1985—1986 წლები | კულტურის სამინისტრო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, კომპოზიტორთა კავშირი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 22. სამეჯლისო და სიუჟეტური ცეკვების რესპუბლიკური კონკურსი | 1986 წელი | აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 23. მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭოს შექმნა (საბჭოს სამუშაო დებულების მომზადება) | 1985 წლის მაისი | კულტურის სამინისტრო, განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცნობა

## ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის მიზნით რესპუბლიკაში არსებული სისტემის, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები გარკვეულ მუშაობას ატარებენ მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა მოზარდი თაობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის გარკვეული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მჭიდრო კონტაქტს კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობასთან. სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივები სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ სულიერად მდიდარი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, აქტიურად იყენებენ მუშაობის მრავალფეროვანსა და საინტერესო ფორმებს, ცდილობენ მოზარდებს ადრეული ასაკიდან განუვითარონ მშვენიერების გრძნობა, გამოუმუშაონ მაღალი ესთეტიკური გემოვნება, ხელოვნების ნაწარმოებთა, ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლთა, მშობლიური ბუნების სილამაზისა და სიმდიდრის აღქმისა და შეფასების უნარი, გააცნონ მოსწავლეებს მსოფლიო და სამამულო კულტურის ნიმუშები. ამ მიზნით ქმედითად გამოიყენება თითოეული საგნის, განსაკუთრებით ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების შესაძლებლობანი.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმამ განათლების მუშაკთა წინაშე დასახა მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ამოცანა. სწორედ ეს მოთხოვნა გახდა ამ მიმართებით არსებული სისტემის შემდგომი სრულყოფისა და მისი უკეთ მართვის საფუძველი.

სკოლის წინაშე მდგომი საღლეისო ამოცანების შესატყვისად გადამუშავდა და მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—IV კლასებისათვის მუსიკის, I—VI კლასებისათვის კი სახვითი ხელოვნების სასწავლო პროგრამები, რომლებშიც ამ საგნების სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნაა გათვალისწინებული. გრძელდება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ბოლომდე დამთავრდება მუსიკის პროგრამების გადამუშავება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VII კლასებისათვის. პროგრამებში სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი დაეთმო საგანთაშორისი კავშირების განმტკიცებას. ამავე პრინციპით ასევე გადამუშავდა და უფრო სრულყოფილი გახდა მშობლიური ლიტერატურის სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები ლიტერატურული მასალის გავლისას ეცნობიან იმავე პერიოდის ხელოვნების საკითხებს. სასწავლო პროცესში ხდება გრამჩანაწერების მოსმენა, ფილმების დემონსტრირება, ეწყობა თემატური ექსკურსიები. საგანთაშორისო კავშირების განხორციელება აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხელს უწყობს მოსწავლეებში იდეური და მოქალაქეობრივი სიმწიფის ფორმირებისათვის, მათში ესთეტიკური გემოვნებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის პედაგოგიური ზემოქმედების ეფექტურობას.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა საგნის სწავლების პროცესში მოსწავლეთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საინტერესო გამოცდილებაა დაგროვილი. ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის,. შრომითი აღზრდის, ფიზიკური კულტურისა და სხვა საგნების მასწავლებლები სასწავლო პროცესის საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმართვით ხელს უწყობენ მოზარდებში წარმოსახვითი აზროვნების, შემოქმედებითი ნიჭის, სილამაზისა და მშვენიერების აღქმისა და შეფასების უნარის განვითარებას.

სახალხო განათლების ორგანოები ატარებენ მთელ რიგ ქმედით ღონისძიებებს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, მატერიალური ბაზის განმტკიცების, კადრების შერჩევისა და გადამზადებისათვის. ხდება დადებითი გამოცდილების შესწავლა, განხილვა და განზოგადება.

დროის გამოცდამ დაადასტურა მუსიკალური სკოლა-ინტერნატის მიერ თავისი საქმიანობის ძირითადი მიმართულების სისწორე. ინტერნატის აღსაზრდელები ეცნობიან და სწავლობენ საორკესტრო, რამდენიმე ხალხურ ინსტრუმენტზე და ფორტეპიანოზე დაკვრის ჩვევებს, ეუფლებიან საგუნდო სიმღერის შესრულების ოსტატობას. საბავშვო კაპელას, კამერული, სასულე და სიმფონიური ორკესტრების საშემსრულებლო დონე კარგად მოფიქრებული მიზანმიმართული მუშაობის შედეგია.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილთან შექმნილია და მუშაობენ სამუსიკო სტუდიები, რომლებიც ხელს უწყობენ ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდას. სტუდიები მიზნად ისახავენ მოსწავლეებისათვის ზოგადი მუსიკალური განათლე-

ბის მიცემას, მათში მუსიკის მოსმენის კულტურის აღზრდას, მუსიკისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას. დღემდე სტუდიები კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი მუსიკალური სკოლების ანალოგიური პროგრამებით მუშაობენ. განვლილი წლების გამოცდილებამ და სამუსიკო სტუდიების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტამ დააყენა სასწავლო პროგრამების არსებითად შეცვლის აუცილებლობის საკითხი. ამის გათვალისწინებით ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სამუსიკო სტუდიების სასწავლო პროგრამების გადამუშავებისათვის. მომავალი სასწავლო წლიდან ახალი პროგრამით მუშაობას შეუდგება შერჩევით რამდენიმე სტუდია, აპრობაციის შემდეგ კი ახალი პროგრამებით მუშაობაზე გადავა სტუდიების მთელი ქსელი.

ბოლო დროს სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა გააქტიურეს ყურადღება მოსწავლეებში კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის განვითარების საკითხებისადმი. პრაქტიკაში ფართოდ ინერგება მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა: შეხვედრები კომპოზიტორებთან, მუსიკალური საღამოების, ლექტორიუმების ორგანიზაცია და სხვა. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს კლასიკური მუსიკის ნორჩ მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბი, რომელსაც ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ კახიძე ხელმძღვანელობს. არსებობის სამი წლის მანძილზე კლუბის ყველა მეცადინეობა გადაიცემა საქართველოს ტელევიზიის მეშვეობით და მოსწავლე ახალგაზრდობას მისი მოსმენის საშუალება ეძლევა რესპუბლიკის ნებისმიერ რეგიონში. მომავალშიც ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მუსიკის მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბის მუშაობა გაგრძელდეს, გაიზრდება მისი მასშტაბები, ორგანიზაცია გაუკეთდება კლუბის ყველა მეცადინეობის განმეორებით ჩვენებას საქართველოს ტელევიზიის დახმარებით.

მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდაში დიდ როლს თამაშობს სისტემატური, ფორმით მრავალფეროვანი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, რომელიც აღრმავებს და აფართოებს მოსწავლეთა მიერ უშუალოდ გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნას. რესპუბლიკაში შექმნილია მხატვრული წრეების, კლუბების, ლექტორიუმების, თვითმოქმედი კოლექტივების ფართო ქსელი, რომელიც იძლევა მოზარდების ინტერესთა მაქსიმალურად გათვალისწინების საშუალებას და ქმნის პირობებს მათი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის სწორად წარმართვისა და განვითარებისათვის.

დღეისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილია და მუშაობს 1874 გუნდი, 256 ფოლკლორული ანსამბლი, ხალხურ საკრავთა 162 ანსამბლი, 503 სამუსიკო სტუდია, მათ შორის 20 მუსიკალური ათწლედი, 738 ქორეოგრაფიული წრე და 24 სტუდია, 135 დრამატული და თოჯინური, 1914 მხატვრული კითხვის, 261 სახვითი ხელოვნების (ჭედურობის, კერამიკის, ხეზე კვეთის, ქსოვის და ა. შ.), 49 კინოს წრე, 15 კინოკლუბი და 6 კინოლექტორიუმი. მუშაობის აღნიშნულ ფორმებში გაერთიანებულია 480 765 მოსწავლე.

რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში კულტურის ორგანოებთან, შემოქმედებით კავშირებთან ერთად მზადდება და ტარდება ღონისძიებები საბავშვო შემოქმედებითი კოლექტივების ქსელის გასაფართოებლად, მათი საქმიანობის მაღალი მხატვრული დონისა და იდეურ-ზნეობრივი მიმართულების უზრუნველსაყოფად.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში გარკვეული წვლილი შეაქვთ სასკოლო ბიბლიოთეკებს, სადაც ხშირად ეწყობა თემატური გამოფენები, ლიტერატურისა და პოეზიის საღამოები, დისპუტები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, ლიტერატურული კონკურსები და ვიქტორინები, ბოლო წლებში სასკოლო ბიბლიოთეკები უხვად შეივსო საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების ნაწარმოებებით.

მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში დიდი როლი აკისრიათ სკოლისგარეშე დაწესებულებებს:

უკვე რამდენიმე წელია მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეს ემსახურება ბავშვთა სურათების გალერეა. აქ შექმნილია და მუშაობენ თავისუფალი ხატვის, ძერწვისა და ქსოვის წრეები. საგრძნობლად გაფართოვდა მასობრივი მუშაობის მასშტაბები, ბავშვები აქტიურად მონაწილეობენ ტრადიციულ გამოფენებში. დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა მოძრავი გამოფენების მოწყობის პრაქტიკა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად დიდ მეთოდურ დახმარებას უწევს სახვითი ხელოვნების პედაგოგებს ადგილებზე, ნორჩი ტალანტების გამოვლენასა და აღზრდას ემსახურება ბავშვთა სამხატვრო სკოლა, სადაც მოზარდები ეუფლებიან ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, ძერწვის, კერამიკის, კომპოზიციის, დეკორატიული ქსოვის, ლითონისა და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლებს. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციის პროცესში სკოლის მუშაობამ ახალი, უფრო შინაარსიანი და საინტერესო ხასიათი მიიღო.

სულ უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხდება ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საქმიანობა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით. სასახლის ბაზაზე სისტემატურად ეწყობა ნორჩ შემოქმედთა რესპუბ-

ლიკური შეკრებები, მხატვართა და მოქანდაკეთა პერსონალური გამოფენები, კინომოყვარულთა რესპუბლიკური ფესტივალები, ყველა რესპუბლიკურ ღონისძიებას, რომელიც სასახლეში ტარდება, როგორც წესი, წინ უძღვის სასკოლო, რაიონული და საქალაქო ღონისძიებები. პიონერთა სასახლის მხატვრული თვითმოქმედების 153 წრეში, კლუბსა და სტუდიაში გაერთიანებულია 2209 მოსწავლე.

ამ მიმართებით საინტერესო მუშაობას ეწევიან აფხაზეთის რესპუბლიკური, გორის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის პიონერთა სასახლეების, ფოთის, გორის თელავის, თბილისის გლდანის რაიონების პიონერთა სახლები. მოწონებას იმსახურებს თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის საქმიანობა. აქ შექმნილი საბავშვო კოლექტივების მაღალმა საშემსრულებლო დონემ განსაზღვრა მისი ავტორიტეტი რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციის პროცესში დიდი ყურადღება ეთმობა სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითად გაუმჯობესების საკითხებს, რაც დიდ როლს შეასრულებს მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის საქმეში.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სისტემაში დიდი აღმზრდელობითი ფუნქციები აკისრია უკვე პრაქტიკაში დამკვიდრებულ რესპუბლიკურ ღონისძიებებს.

მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელსაც წინ უსწრებს შინასასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური ოლიმპიადები მხატვრულ თვითმოქმედებაში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმის, ნორჩ ტალანტთა გამოვლენის საშუალებას იძლევა, სხვა დადებით მომენტებთან ერთად მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში გაერთიანება ხელს უწყობს მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას, საინტერესო საქმით მათ მასობრივ დაკავებას. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების გასული ოლიმპიადის ყველა ეტაპზე მონაწილე ბავშვთა რიცხვი 300 000 შეადგენდა, მიმდინარე, მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის წინა ეტაპებზე კი მონაწილეთა რაოდენობა 400 000-მდე გაიზარდა, ბოლო დასკვნით ტურში მონაწილეობა 21 000 მოსწავლემ მიიღო. მნიშვნელოვნად ამაღლდა ბავშვთა კოლექტივების საშემსრულებლო დონე. დიდი ყურადღება ეთმობა რეპერტუარის შერჩევას, იდეური მიმართულებების სწორად განსაზღვრას. თვითმოქმედ კოლექტივებში ბავშვები ეცნობიან და სწავლობენ კლასიკური, ხალხური, თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს.

სულ უფრო იხვეწება და ახალი ფორმებით ივსება ბავშვებისათვის და მათი მონაწილეობით ჩატარებული რესპუბლიკური თემატური



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბ.
F5300
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირეულები, მათ რიცხვს მიეკუთვნება საბავშვო მუსიკის, კინოს, ბავშვთა და საყმაწვილო წიგნის, ნორჩ მხატვართა კვირეულები. მოსწავლეებში უდიდესი ინტერესით სარგებლობს თეატრალური კვირეული „თეატრი და ბავშვები“, რომელიც გასულ წელს მეათედ ჩატარდა რესპუბლიკაში.

მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის გარკვეული წარმატებები ერთგვარად განსაზღვრა მეთოდური სამსახურის დონემ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საქმეში აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად მუშავდება და იხვეწება პროგრამები, მზადდება სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდიკური მითითებები და რეკომენდაციები, ხდება მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა. სისტემატურად ეწყობა ესთეტიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა, მხატვრული წრეების, სტუდიებისა და ბავშვთა თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა გადამზადების კურსები.

მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მზადდება საბავშვო ბიბლიოთეკის დამატება — ხუთტომეული პირობითი სახელწოდებით „საუბრები ხელოვნების შესახებ“, რომლის შედგენაზე მუშაობენ ისეთი კომპეტენტური ამხანაგები, ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან: აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, პროფესორები ნათელა ურუშაძე, პავლე ხუჭუა, სოლომონ ხუციშვილი და სხვები. სამი ტომი მუსიკის ლიტერატურისა და თეატრის შესახებ უკვე იბეჭდება.

მოზარდი თაობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის არსებული სისტემა, დაგროვილი საინტერესო გამოცდილება დაედო საფუძვლად 1980 წელს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის პრობლემებზე საქართველოში 1-ლი საკავშირო სიმპოზიუმის ჩატარებას, 1983 წელს კი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე ჩატარდა პიონერთა სასახლეების ესთეტიკური აღზრდის განყოფილებათა გამგეების საკავშირო მეთოდურ-პრაქტიკული სემინარი. აღნიშნული საკავშირო ღონისძიებების მონაწილეებს საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ გაკვეთილებს, გაცნობოდნენ ბავშვთა შემოქმედებითი და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს.

1984 წლის დეკემბერში ერევანში გამართულ ამიერკავკასიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის 10 სექციის სხდომებში, რომელიც ესთეტიკური აღზრდის საშუალებით ბავშვთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირების საკითხებს მიეძღვნა, თავისი ნაშრომით რესპუბლიკის 32 წარმომადგენელი წარსდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა იმისა, რომ რესპუბლიკის განათლების სამინისტრო კოორდინაციას უკეთებს და წარმართავს სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას მოსწავლეთა მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის, პერიოდულად ხდება ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესწავლა და შედეგების კოლეგიის სხდომებზე განიხლვა, მიღებული გადაწყვეტილებები მიმართულია მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ.

მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის საქმეში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. პედაგოგთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს მაქსიმალურად გამოიყენოს სასწავლო საგნის შესაძლებლობები. ნაკლებ ყურადღებას უთმობს საგანთაშორისი კავშირების განმტკიცებას. საგაკვეთილო პროცესს ვერ წარმართავს ისეთნაირად, რომ მან ხელი შეუწყოს მოზარდებში სილამაზის, მშვენიერების აღქმას, მაღალი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. ბევრგან სათანადო დონეზე არ დგას ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების საკითხებიც. ამას, უპირველეს ყოვლისა, კვალიფიციური პედაგოგიური კადრების ნაკლებობა, მომუშავე მასწავლებელთა ერთი ნაწილის მომზადების დაბალი დონე განაპირობებს.

რესპუბლიკის 2656 საშუალო და რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით მუსიკას 1528. ხოლო სახვით ხელოვნებას 1488 პედაგოგი ასწავლის. არასპეციალური განათლება აქვს შესაბამისად 585 და 767-ს.

გარკვეული ნაბიჯები იქნა გადაგმული კადრების მომზადების მიზნით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მიერ, მაგრამ სპეცალისტთა მომზადებისა და გამოყენების არსებული პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ საჭიროა გატარდეს არსებითი ღონისძიებები უმოკლეს დროში მისი შემდგომი სრულყოფისათვის. იმის გამო, რომ სკოლებში განსაკუთრებით კი სოფლად, მცირეა მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და შესაბამისად ანაზღაურება დაბალია, ძნელი ხდება სპეციალისტების განაწილება. საჭიროა სასწრაფოდ გატარდეს სათანადო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიზანშეწონილია მომზადდეს მასწავლებელი, ორი მონათესავე საგნის სპეციალისტი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი განაწილებისა და ადგილზე დამაგრების საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ ყველგან სისტემატურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლს არ უთმობენ მუსიკისა და სახვითი ხელოვნების სწავლების მდგომარეობის შესწავლას. არ კეთდება სათანადო ანალიზი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, სპეციალური კაბინეტების შესაქმნელად და მათი სათანადო თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალით შესავსებად. რესპუბლიკის რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ეფექტურად ვერ იყენებენ საწრეო მუშაობას. მხატვრული პროფილის წრეები შექმნილია ზოგიერთ ისეთ სკოლებში, სადაც სპეციალისტები არა ჰყავთ (მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლა, ცხაკაიას რაიონის 1-ლი და მე-7 საშუალო სკოლები, წალენჯიხის რაიონის მე-2, სოფელ ჯვრის 1-ლი და მე-2, სოფელ ლიის საშუალო სკოლები. დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის საშუალო სკოლა, ონის რაიონის სოფელ გლოლის საშუალო სკოლა).

ჩამოთვლილი სკოლების აღნიშნული წრეების მუშაობის ხარისხიც, რა თქმა უნდა, ძალზე დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სამუსიკო სტუდიების მუშაობის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ყველა სტუდია მაინც ვერ წარმართავს თავის საქმიანობას დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად. 503 სამუსიკო სტუდიაში, სადაც 5533 პედაგოგი მუშაობს, სპეციალური უმაღლესი განათლებითაა 1966, საშუალო სპეციალური განათლებით კი 2849. პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს სტუდიების მუშაობის ხარისხზე.

მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებას კულტურის დაწესებულებათა, შემოქმედებითი კავშირების აქტიური თანადგომა და დახმარება ჰირდება. ჯერ კიდევ სათანადოდ არ ხდება მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდისათვის მათი შესაძლებლობების გამოყენება.

პედაგოგიური კოლექტივები ვერ ამყარებენ ჯეროვან საქმიან კონტაქტებს ხელოვნების მუშაკებთან. ღრმა და მრავალმხრივი ხასიათი როდი აქვს სკოლის კავშირს მწერლებთან, დრამატურგებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან, რაც გაუმტკიცებდა მოზარდებს ხელოვნების ისტორიისა და კანონების შეცნობისადმი ინტერესს, ხელს შეუწყობდა მათი შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლინებას, სწორ პროფესიულ ორიენტაციას. სამწუხაროდ, ხშირად სასკოლო ცხოვრებაში მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მონაწილეობა საზეიმო ღონისძიებებში, სადღესასწაულო ცერემონიალებში საპატიო სტუმრობით ამოიწურება. არის ისეთი შემთხვევებიც და სამწუხაროდ არა ერთეული, როცა მოსწავლეთა კოლექტივი გარკვეული დროის მანძილზე ემზადება ხელოვნების, ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენლებთან შესახვედრად, ბავშვები გატაცებით აგროვებენ სათანადო მასალას, მზადდება ხელნაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ჟურნალი, ფორმდება კედლის გაზეთები, სპეციალურ რეპერტუარს ამზადებს თვითმოქმედი კოლექტივი, დანიშნულ შეხვედრაზე კი მოწვეული საპატიო სტუმარი მოსვლას რატომღაც ვერ ახერხებს, ზოგჯერ კი მის ნაცვლად სკოლაში სულ სხვა პიროვნება ცხადდება. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს არასასურველი აღმზრდელობითი შედეგი მოსდევს.

შემდგომ სრულყოფას მოითხოვს ტრადიციულად ქცეული რესპუბლიკური ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. ერთობლივი საქმიანობით უნდა მივაღწიოთ მოსწავლეებისათვის ჩატარებული თეატრის, მუსიკის, კინოს, მხატვრის, წიგნის საკავშირო კვირეულების მაქსიმალურ უკუგებას. ეს კი თითქმის შეუძლებელია, თუ არსებითად არ შეიცვალა და არ განმტკიცდა საქმიანი ურთიერთკონტაქტები შემოქმედებით კავშირებთან.

სკოლებში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს მუშაობა კინოხელოვნების ნაწარმოებთა სწორი აღქმისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად. აქაც სკოლის მასწავლებელს სპეციალისტთა რჩევა და დახმარება სჭირდება.

მოსწავლე ახალგაზრდობა და პედაგოგიური საზოგადოება მოკლებულია ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს თანამედროვე სკოლის საქმეებსა და ადამიანებზე, იმ სიახლეებზე, რაც მის ცხოვრებაში მკვიდრდება. ნაკლებად იბეჭდება მოსწავლეებისათვის განკუთვნილი თეატრალური ლიტერატურა — პიესები საბავშვო თეატრებისა და დრამატული წრეებისათვის.

საკმაო ყურადღება არ ექცევა მაღალი იდეური და მხატვრული საბავშვო თეატრალური რეპერტუარის შექმნას, რის გამოც, არცთუ იშვიათად, თეატრების სამხატვრო საბჭოები ურიგდებიან ნორჩთა და მოზარდთა მაყურებლამდე თემატურად არააქტუალური სპექტაკლის მიტანას. თავის მხრივ, სკოლისა და თეატრის საქმიანი ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის სათანადო ინიციატივას არ იჩენენ სახელმწიფო თეატრები, მასიურად ვერ იზიდავენ მოსწავლე ახალგაზრდობას საინტერესო დადგმებით. თეატრის წამყვანი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, საკუთარი ინიციატივით საერთოდ იშვიათად მიდიან სკოლაში, ძალზედ უმნიშვნელო დახმარებას უწევენ მოსწავლეთა დრამატულ კოლექტივებს. მათგან ყურადღებას, მხარდაჭერასა და ხელშეწყობას განსაკუთრებით მოკლებული არიან სოფლის სკოლები.

როგორც უკვე აღინიშნა, დღემდე ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა პროფესიული შემოქმედებითი ორგანიზაციების შეფობამ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი. ნაკლებეფექტურია სოფლად კულტურის განყოფილებების მიერ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის მიზნით გაწეული მუშაობა. საკმარისად არ ითვისებენ ამ მუშაობის ახალ, უფრო შინაარსიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმებს, ყოველთვის ვერ ითვალისწინებენ სკოლის საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია მოზარდი თაობის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებასთან, მათი თავისუფალი დროის საინტერესო და შინაარსიან ორგანიზებასთან. ხშირად ერთფეროვანი და შეზღუდულია კულტურული დასვენების სახეობათა არჩევანი, განსაკუთრებით სოფლად. ჯეროვნად არ არის ორგანიზებული მუშაობა მოზარდთა შორის მხატვრული გემოვნებისა და მოთხოვნების შესასწავლად, მათი ესთეტიკური თვალსაწიერის გაფართოებისა და სულიერი სამყაროს ჩამოსაყალიბებლად.

საჭიროა დაისვას საკითხი იმის თაობაზე, რომ კონსერვატორიის ამა თუ იმ ფაკულტეტის სტუდენტმა ან სტუდენტთა ჯგუფმა პრაქტიკა სკოლაში გაიაროს და მათი შრომის შედეგი მოსწავლეთა ანსამბლების შექმნიდან სამუსიკო სტუდიაში ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობით გამოიხატოს. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა, სტუდენტთა ჯგუფმა სკოლაში პრაქტიკის გავლისას მოსწავლეთა თეატრალური კოლექტივი შექმნას, სამხატვრო აკადემიის ზოგიერთმა სტუდენტმა კი თავისი სადიპლომო ნაშრომი სკოლების ინტერიერისა და ექსტერიერის სადღეისო მოთხოვნათა დონეზე გაფორმების საკითხებს მიუძღვნას. ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა სტუდენტი ახალგაზრდობის საკუთარ შესაძლებლობათა მოსინჯვის საშუალებას მოგვცემს და, რაც მთავარია, ქმედით დახმარებას გაგვიწევს მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი ჯერ კიდევ ჯეროვან დაინტერესებას ვერ იჩენენ აღნიშნულ პრობლემათა კვლევისა და სათანადო მეთოდურ-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისათვის. მეტი ადგილი უნდა დაეთმოს პედაგოგიური პრესის ფურცლებზე საინტერესო პედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდას. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური, საქალაქო, ზონალური ინსტიტუტები მთელი სისრულით ვერ ითვალისწინებენ ამ საკვანძო საკითხების მნიშვნელობას და ამ მიმართებით მასწავლებელთა შესაბამისი ცოდნით შეიარაღებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის უზრუნველსაყოფად მუშაობის წარმართვას.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების მრავალმხრივსა და მრავალფეროვან საქმიანობას მოსწავლეთა მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის სისტემაში, რაც უშუალოდ პასუხობს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მოთხოვნებს.

აღმზრდელობითი მუშაობის
სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება

## ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკოლის რეფორმის ძირითადი მოთხოვნებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 5 ივლისის № 11-1 გადაწყვეტილების „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის. გაუმჯობესდა და განმტკიცდა სასწავლო-მატერიალური ბაზები, მიღებულ იქნა ზომები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფორიენტაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სათანადო ღონისძიებები განხორციელდა 6 წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზების მიზნით.

ამასთან, ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. განათლების განყოფილება სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს სკოლებისადმი საყოველთაო სწავლების განუხრელად განხორციელების საქმეში. აღინიშნება სკოლებიდან მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევები, სუსტია კონტროლი მეორეწლიანთა სწავლებაზე, გასული სასწავლო წლის ბოლოს კურსის განმეორებით გასავლელად დატოვებული 13 მოსწავლიდან წელს სწავლას მხოლოდ 7 განაგრძობს. განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში შეინიშნება უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოსწავლეთა მოძრაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშების სწორად წარმოებისა-დმი. შეცდომით არის გამოანგარიშებული რაიონში 8 და 10 კლასის დროულად დამთავრების მაჩვენებელი. სათანადო ყურადღება არ ექცევა გონებრივ და ფიზკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვების სწავლებას, რის გამოც ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე 20 ბავშვიდან 12 არსად არ სწავლობს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აღმზრდელობითი მუშაობა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში. მათი მატერიალური ბაზები, ძირითადად, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რაიონის მხოლოდ 3 სკოლაშია ორგანიზებული 6-წლიან აღსაზრდელთა ძილი. გარკვეული წინსვლის მიუხედავად, მოთხოვნებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია.

რიგი სკოლების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. სწორედ ამიტომ არ სრულდება ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და სხვა საგნებში პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილი; მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა გამოავლინეს მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის სუსტი ცოდნა. ცალკეულ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა რუსული ენის სწავლება, სასწავლო პროცესში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას, სკოლების საქმიანობაში არ არის დანერგილი ინდივიდუალური მუშაობა ჩამორჩენილ მოსწავლეებთან.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, სრულად არ იყენებს გაკვეთილის შესაძლებლობებს, შეიმჩნევა ცალკეულ მასწავლებელთა არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა. წარჩინებულ მოსწავლეთა ძირითადი რაოდენობა მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეებზე მოდის.

ნაკლოვანებებია მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის საქმეში. სუსტია შრომითი სწავლების მატერიალური ბაზა, სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტების აღჭურვილობა ვერ პასუხობს მოქმედი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. რაიონის 34 რვაწლიანი და საშუალო სკოლიდან 3-ს არ აქვს სახელოსნო, 9-ს — სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი.

მიუხედავად იმისა, რომ 13 სკოლაში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადების კურსებს საშუალოდ 700 უფროსკლასელი გადის, განათლების განყოფილებისა და სკოლების ცალკეულ ხელმძღვანელთა გულგრილობის, მოუქნელობის გამო დღემდე არც ერთ მოსწავლეზე გაცემული არ არის ტრაქტორების მართვის მოწმობა, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის სისტემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ სკოლებში დაქვეითებულია სასკოლო კომკავშირულ-პიონერული ორგანიზაციების როლი სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების, მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარების საქმეში. რიგ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას, სუსტია მუშაობა სასკოლო კოლექტივების ორგანიზაციისა და დარაზმვისათვის, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებებია მეთოდური კაბინეტის მუშაობაში, სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა დადებითი გამოცდილების გამოვლენასა ად განზოგადებას, სუსტია ხელმძღვანელობა და დახმარება სასკოლო მეთოდგაერთიანებათა მუშაობაზე.

დაბალია შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის დონე, შესაბამისი ყურადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის სწორად დაგეგმვას, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად ან არასაკმარისი სიღრმით ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საკითხების განხილვა.

რაიონის სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები განათლების დაწესებულებათა მართვის საქმეში განათლების განყოფილების მუშაობის დაბალი დონის შედეგია. განყოფილება სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევს სკოლებს, სუსტად აკონტროლებს და წარმართავს მათ საქმიანობას, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, მუშაობის სწორად დაგეგმვის, შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფის, ინსპექტირების ეფექტურობის, მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებისადმი. თავის საქმიანობაში განყოფილება ნაკლებად იყენებს სსრკ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინსტროს ბრძანებით დამტკიცებულ „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს“, „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 27 მაისის № 352 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინსპექტირებისა და სასკოლო მუშაობის დაგეგმვის შესახებ“ და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არასაკმარისად ჩაითვალოს ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილების „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ განხორციელებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 5 ივლისის № 11-1 გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებითი ლებების „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზო-
გადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად ჩატარებული მუშაობა.

2. განათლების განყოფილებამ:

2. 1. სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს რაიონის განათლების სისტემის დაწესებულებებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა განხორციელების, სახალხო განათლების შესახებ მოქმედი კანონის შესრულების საქმეში;

2. 2. ყოველმხრივ გააანალიზოს და თვითკრიტიკულად შეაფასოს ჩატარებული მუშაობის შედეგები. მეტი შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა გამოიჩინოს სწავლებასა და აღზრდაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში;

2. 3. აამაღლოს საყოველთაო საშუალო განათლების კანონის განხორციელებისათვის ორგანიზატორული მუშაობის ხარისხი. მეტი ყურადღებით მოეკიდოს გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში ნაკლის მქონე ბავშვთა შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში განაწილებას, უმკაცრესი ზომები მიიღოს მათ მიმართ, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს;

2. 4. შეიმუშაოს და გაატაროს სათანადო ღონისძიებები გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის განვითარების, მათი სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის. შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად;

2. 5. აამაღლოს სახალხო განათლების მუშაკთა პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვისა და საბოლოო შედეგისადმი. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას, პროფესიულ დაოსტატებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა პერსპექტიული მასწავლებლების გამოვლენას და მათთან მუშაობას;

2. 6. გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი გაკვეთილის სრულყოფის, სწავლების პროცესში ეფექტური მეთოდებისა და ხერხების გამოყენების, სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების გაუმჯობესების მიზნით;

უმოკლეს ვადაში გაატაროს საჭირო ღონისძიებანი სკოლებში არსებული ხელსაწყო-დანადგარების დროული დამონტაჟების, მათი ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფის, შესაბამისი დიდაქტიკური და მეთოდური მასალებით, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელსაწყოებით სკოლების გამდიდრების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 7. მკვეთრად გააუმჯობესოს კონტროლის ეფექტურობა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, მათი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მდგომარეობაზე, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას, უნარიანად გამოიყენოს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების შესაძლებლობანი მოსწავლეებში სწავლისა და შრომისადმი პასუხისმგებლური და შეგნებული დამოკიდებულების აღზრდისათვის;

2. 8. კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელოს IV—VIII კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, სრულყოს უფროსკლასელთა გაღრმავებული შრომითი სწავლების ორგანიზაცია, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის საქმეში;

2. 9. დასახოს ღონისძიებანი განათლების განყოფილებისა და სკოლების ხელმძღვანელების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშაობის სწორად დაგეგმვას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებას, ნორმატიული და საინსტრუქციო-მეთოდური დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლების ინსპექტირების ეფექტურობას, პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის მასალების ანალიზის ხარისხს, შემუშავებული დოკუმენტების ქმედითობას;

2. 10. აამაღლოს პედაგოგიური საბჭოს როლი, გახადოს იგი პედაგოგიური კოლექტივის, თითოეული მასწავლებლის ჩამოყალიბების საშუალებად; პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისა და შინაარსის სრულყოფის ძირეული საკითხები;

2. 11. განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისადმი პრაქტიკული მეთოდური დახმარების ხარისხის ამაღლებისათვის, სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვისათვის, მეტი ყურადღება დაუთმოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სრულყოფის საქმეს. სისტემატური კონტროლი დააწესოს მასწავლებელთა მიერ ატესტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე;

2. 12. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1986 წლის 10 იანვრამდე.

3. სახალხო განათლების დაწესებულებების საქმიანობაზე არასაკმარისი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც რაიონის სკოლებში სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები გამოიწვია, ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ე. ხმალაძეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო ინსპექტორებს რ. ხაჩიძეს და მ. ნანობაშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

4. განათლების სამინისტროს რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. მ. გოგიტაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. გვათუა) მეთოდური დახმარება გაუწიოს ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებას ოსურ სკოლებში მუშაობის გაუმჯობესების, აღნიშნული სკოლების დაწყებითი კლასებისა და ოსური ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, საჭირო სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში. მის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **თ. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 31 მაისის ბრძანება № 336

### საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოების ამოცანები, გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპების მკაცრად დაცვას, მავნე ჩვევებისა და გადმონაშთების, უწინარეს ყოვლისა ისეთი მახინჯი გამოვლინების დაძლევას, როგორიცაა ლოთობა, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება. სხვა საკითხებთან ერთად დადგენილებაში განსაკუთრებული სიმკაცრით გაესვა ხაზი მოზარდებთან მიმართებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თანმიმდევრულ და დაუნდობელ ბრძოლას ეწევა სახალხო განათლების სისტემაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამ მიმართებით მუშაობის ეფექტურად წარმართვას ბოლო წლების მანძილზე გარკვეულწილად ხელი შეუწყო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებმა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეული მასწავლებლების მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ“, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ და ა. შ. მომზადდა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დაეგზავნა მეთოდიკური რეკომენდაციები სკოლებში პირველი ზარის, უკანასკნელი ზარის, გამოსაშვები საღამოების, საბჭოთა არმიის დღისა და სხვა ღონისძიებათა მომზადებისა და ჩატარების თაობაზე. როგორც წესი, აიკრძალა სკოლებში სპირტიანი სასმელების გამოყენებით ბანკეტებისა და საზეიმო ღონისძიებების ჩატარება.

დიდი ყურადღება ეთმობა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მშობელთა შორის, იმ მოსწავლეთა დროულ გამოვლენას, რომლებიც არაკეთილსაიმედო ოჯახებში იზრდებიან. საგრძნობლად გააქტიურდა ადგილებზე მამათა საბჭოების, მშობელთა კომიტეტების, მშობელთა საზოგადოებების საქმიანობა.

ამასთან, რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში ანტიალკოჰოლური და ლოთობის წინააღმდეგ წარმართული დიდი მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად არცთუ იშვიათად ადგილი აქვს ცალკეული სკოლებში სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელების, პედაგოგებისა და მშობელთა მხრიდან განათლების სამინისტროს მოთხოვნათა უხეშად დარღვევას. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, რიგ სკოლებში კვლავ გრძელდება ამა თუ იმ მოვლენისადმი მიძღვნილი ბანკეტების მოწყობის პრაქტიკა სპირტიანი სასმელების გამოყენებით. მსგავსი ფაქტები განსაკუთრებით დამახასიათებელია გამოსაშვები გამოცდების პერიოდისათვის. ჯერ კიდევ ხშირია ექსკურსიებისა და მოგზაურობების მოწყობისას ალკოჰოლური სასმელების მიღების ფაქტები, რაც ხელს უწყობს და ზოგჯერ განაპირობებს კიდეც დანაშაულის ჩადენასა და უბედურ შემთხვევებს. შეშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს ისეთი ფაქტები, როცა ცალკეული მშობლები ოჯახური ქეიფების დროს მოზარდებს ალკოჰოლური სასმელების მიღებისაკენ უბიძგებენ.

აღნიშნული და მსგავსი ფაქტები დამღუპველად მოქმედებენ მოზარდების ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე, უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მათი პიროვნული თვისებების სწორად ჩამოყალიბებაზე.

არ შეიძლება არ დაგვაფიქროს სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების ფაქტებმა ზოგიერთი მასწავლებლის, სახალხო განათლების ცალკეულ მუშაკთა მხრიდან, რომლებიც მოწოდებულნი არიან მისცენ მოზარდებს მაღალი ზნეობისა და კულტურის პირადი მისაბაძი მაგალითები, კვლავ არის შემთხვევები, როცა შინაგან საქმეთა ორგანოებში ხვდებიან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებათა მუშაკები.

სახალხო განათლების სისტემაში ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქმეში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ამ საქმიანობის ერთიანი, მწყობრი სისტემა. კვლავ ადგილი აქვს სტიქიურობასა და უკონტროლობას მუშაობაში. ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება როგორც განათლების სისტემაში არსებული, ასევე სხვა სამინისტროებსა და უწყებებთან შემავალი სკოლისგარეშე და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაძლებლობანი მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის მიზნით. აღნიშნული საკითხებისადმი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებასა და პრინციპულ დამოკიდებულებას არ იჩენენ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები, მოსწავლეთა კომიტეტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ მოთხოვნათა განუხრელი შესრულების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 1. უზრუნველყონ აღნიშნული დადგენილების განხილვა სახალხო განათლების სისტემის ყველა დაწესებულებაში, ცალკეულ რეგიონებში არსებული სიტუაციისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშაონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი მისი აუცილებელი განხორციელებისათვის;

1. 2. მკაცრი მსჯელობა იქონიონ სახალხო განათლების იმ მუშაკებზე, რომელიც ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს. ყოველი ასეთი ფაქტის ირგვლივ შექმნან ერთიანი საზოგადოებრივი აზრი;

გაზარდონ სახალხო განათლების ყველა რგოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა კოლექტივში ლოთობის ყოველი ფაქტისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების შექმნისათვის, უმკაცრესად აგებინონ პასუხი ბრალდებულებს;

1. 3. მთელი სიმკაცრით გამოიყენონ მასწავლებელთა ატესტაციის შესაძლებლობანი იმ პირებისადმი, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების საქმეში;

1. 4. კატეგორიულად აიკრძალოს:

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლისგარეში, სკოლამდელ და სახალხო განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებში ბანკეტების, მიღებების გამართვა სპირტიანი სასმელების მოხმარებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელების მიღება, როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთათვის მოწყობილი ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების დროს.

ამ მოთხოვნათა უგულებელყოფის შემთხვევაში ოპერატიულად გაატარონ უმკაცრესი ადმინისტრაციული ზომები;

1. 5. მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეთა მშობლების მიერ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების ყოველი ფაქტი გახდეს მათი სამუშაო ადგილის მიხედვით მკაცრი მსჯელობისა და საყოველთაო დაგმობის საგანი.

მშობელთა შორის ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კიდევ უფრო აამაღლონ მშობელთა კომიტეტების, მამათა საბჭოების, მშობელთა საზოგადოებების როლი და ავტორიტეტი;

1. 6. გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი სასწავლო დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოზარდთა ინტერესების გათვალისწინებით წრეობრივი და საკლუბო მუშაობის ქსელის გაფართოების, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ამ საქმიანობაში აქტიურად მიიზიდონ მეცნიერების, კულტურის, ფიზკულტურისა და სპორტის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ენთუზიასტები;

1. 7. უზრუნველყონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდაში საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ბიოლოგიური ციკლის სასწავლო დისციპლინების შესაძლებლობათა სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გამოყენება;

1. 8. გააუმჯობესონ და განავითარონ მოზარდებში ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობა, ტექნიკური შემოქმედება, ნატურალისტური, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განამტკიცონ სათანადო სკოლისგარეშე დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

1. 9. აამაღლონ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდის; დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა სამეცნიერო და მეთოდურმა დაწესებულებებმა მოსწავლეთა შორის ანტიალკოჰოლური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მიზნით შექმნან სამეცნიერო და მეთოდური სამსახურის ერთიანი სისტემა.

3. გატარდეს ღონისძიებები სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოებისა და არსებული მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის რეგიონის მოთხოვნათა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ თავიანთ ფურცლებზე გააშუქონ ლოთობისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების, სიფხიზლის სულისკვეთებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდისათვის მუშაობის დადებითი გამოცდილება.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკის სკოლების დასახმარებლად მოამზადოს და მასობრივი ტირაჟით გამოსცეს ანტიალკოჰოლური პროპაგანდის თვალსაჩინო მასალები.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს გადაცემათა სპეციალური ციკლი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ანტიალკოჰოლურ თემაზე.

7. დამტკიცდეს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა.

8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (აშხ. ე. ზარქუა).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა

| № | შესასრულებელი საკითხები | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | სკკპ ცკ დადგენილების „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ" შესწავლისა და განმარტების უზრუნველყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, განათლების სისტემის ყველა მუშაკს შორის | მაისი, ივნისი | სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები |
| 2 | ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ბიოლოგიური ციკლის სასწავლო დისციპლინების შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენების მიზნით მეთოდური მითითებების მომზადება | 1985—1986 წლები | სკოლების სამმართველო |
| 3 | პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის სალექციო თემატიკაში ალკოჰოლიზმისა და ლოთობის პირობებთან დაკავშირებული საკითხების შეტანა | 1985—1986 წლები | სკოლების სამმართველო სახალხო უნივერსიტეტის საბჭოსთან ერთად |
| 4 | მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების საკურსო თემატიკაში ანტიალკოჰოლური პროპაგანდის საკითხების გათვალისწინება | 1985—1986 წლები | კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 5 | სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში ანტიალკოჰოლურ საკითხებზე საუბრების, ლექციების, დისპუტების ჩატარების სისტემის ჩამოყალიბება | 1985 წელი | სახალხო განათლების ორგანოები დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით |
| 6 | ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკურ საკითხებზე მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება | 1985—1986 წლები | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი |
| 7 | არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულ კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმის განხორციელება | 1985—1986 წლები | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად |
| 8 | სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში წრეებისა და კლუბების რიცხვის ზრდა, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, არსებული ქსელის გაფართოება | 1985—1986 წლები | განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები |
| 9 | ფიზკულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლის, მშთ ფიზკულტურულ-სპორტულ კომპლექსში მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმისა და ნორჩ | 1985—1986 წლები | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | სპორტსმენებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების მიზნით სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელება | | |
| 10 | ბავშვებთან და მოზარდებთან ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციის მიზნით განათლების სისტემის, აგრეთვე საუწყებო სპორტული ბაზების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა | 1985—1986 წლები | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკურ სპორტკომიტეტთან და საქართველოს ალკკ ცკ ერთად |
| 11 | საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვებთან მუშაობის სწორი ორგანიზაციის მიზნით არსებული ბაზების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, მიკრორაიონების საბჭოებთან კონტაქტების განმტკიცება, მათი საქმიანობის პედაგოგიური მიმართულების უზრუნველყოფა | 1985 წლის ივნისიდან | განათლების ადგილობრივი ორგანოები |
| 12 | სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში, საცხოვრებელ მიკრორაიონებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პედაგოგთა, მშობელთა, მოსწავლეთა მხრივ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების შემთხვევების გამოსავლენად რეიდების მოწყობა | 1985—1986 წლები | განათლების ადგილობრივი ორგანოები |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 13 | ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილ ტელეგადაცემებში ლოთობასთან, ალკოჰოლიზმთან ბრძოლის პროფილაქტიკის საკითხების წინ წამოწევა | 1985 წლის ივნისიდან | სკოლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოები |
| 14 | იმ პირების მიმართ, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების საქმეში, მასწავლებელთა ატესტაციის შესაძლებლობების მთელი სიმკაცრით გამოყენება | 1986—1990 წლები | კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები |

# П Р И К А З
# МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О задачах органов народного образования ГССР по выполнению постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алкогокизма» 31 мая 1985 года, № 336

ЦК КПСС принят постановление «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма».

В постановлении отмечается, что в современных условиях особое значение придается строгому соблюдению принципов коммунистической морали и нравственности, преодолению вредных привычек и пережитков, прежде всего такого уродливого явления как пьянство, злоупотребление спиртными напитками.

Как одной из важнейших ставится задача усиления работы в этом направлении с подростками.

Министерство просвещения ГССР ведет последовательную и беспощадную борьбу с негативными явлениями в системе народного образования. Эффективность этой работы повысилась особенно в последние годы, чему в значительной степени способствовали решения коллегии Минпроса по таким вопросам, как «О нарушении норм педагогической этики отдельными учителями общеобразовательных школ», «О дополнительных мероприятиях по дальнейшему укреплению социалистической дисциплины в общеобразовательных школах»; разработка и направления на места методических рекомендаций о проведении в школах праздников первого звонка, выпускных вечеров, торжеств, связанных с Днем Советской Армии и пр., в которых, в частности, категорически запрещалась организация в школах пышных банкетов с употреблением алкогольных напитков.

Бобьшое внимание уделялось борьбе с алкоголизмом среди родителей, выявлению детей, воспитывающихся в неблагополучных семьях, организации индивидуальной работы с ними. Активизировалось деятельность родительских комитетов, советов отцов, родительских обществ на местах.

Вместе с тем, несмотря на большую работу, проводимую в системе просвещения республики по антиалкогольной пропаганде и борьбе с алкоголизмом, нередки случаи нарушения ус-

тановки Министерства в этом направлении со стороны руководителей, педагогов школ, внешкольных учреждений, родителей.

Несмотря на неоднократные предупреждения в школах продалжает бытовать практика проведения банкетов, посвященных тем или иным событиям, с употреблением спиртных напитков, что особенно характерно для периода завершения выпускных экзаменов.

Все ещё имеются случаи употребления алкогольных напитков во время организации туристских походов и экскурсий, что создавало условия, а порой и способствовало совершению правонарушений, несчастным случаям.

Вызывает озабоченность и поведение отдельных родителей, потворствующих подросткам в употреблении алкоголя во время семейного застолья, связанного с тем или иным знаменательным событием.

Эти и другие, подобные им факты, как правило, губительно отражаются на психике подростка, его здоровьи, нередко оказывают пагубное влияние на нравственное становление личности.

Не могут не настораживать и факты злоупотребления спиртным отдельными работниками просвещения, призванными быть для учащихся примером для подражания, образном нравственности и культуры. Продолжают иметь место случаи, когда в органы внутренних дел доставляют работников народного образования в нетрезвом состоянии.

Недостатки в борьбе с алгоколизмом в системе просвещения вызваны отсутствием четкой системы работы, бесконтрольностью и стихийностью.

Все ещё действенно не используются возможности внешкольных и культурно-просветительных учреждений как системы Минпроса, так и других министерств и ведомств в деле правильной организации досуга учащейся молодежи.

Не проявляют должное внимание и принципиальность в этом вопросе школьные комсомольские организации, ученические комитеты.

В целях неукоснительного выполнения постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алгоколизма» п р и к а з ы в а ю:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования г. Тбилиси:

1. 1. обеспечить обсуждение данного постановления во всех учреждениях системы просвещения и наметить конкретные мероприятия по его обязательному исполнению с учетом существующей ситуации и специфики региона;

1. 2. повысить ответственность руководителей всех звеньев народного образования в создании нетерпимого отношения в коллективах к каждому факту пьянства в строжайшем взыскании с виновных;

1. 3. со всей строгостью использовать возможности аттестации учителей, по отношению к тем лицам, которые будут замечены в злоупотреблении алкогольными напитками.

1. 4. категорически запретить:

— в школах, внешкольных и дошкольных учреждениях, других учреждениях системы просвещения банкеты, приемы, вечера с употреблением алкогольных напитков;

— принятие спиртного во время туристских походов и экскурсий, организуемый как для школьников, так и учителей. В случае нарушения данного требования принимать строгие административные меры;

1. 5. добиваться, чтобы каждый случай злоупотребления родителями алкоголя становился предметом строгого суждения и порицания по месту его работы;

— в борьбе с алгоколизмом среди родителей поднимать роль и ответственность родительских комитетов, советов отцов, родительских обществ;

1. 6. принять действенные меры, направленные на развитие сети и совершенствование кружковой и клубной работы в учебных заведениях и по месту жительства учащихся. Активно привлекать в этих целях представителей науки и культуры, физкультуры и спорта, энтузиастов-общественников;

1. 7. обеспечить действенное использование в антиалкогольной пропаганде возможности учебных предметов общественно-политического, гуманитарного и естественного циклов;

1. 8. принять меры по развитию и совершенствованию туристско-краеведческой работы, технического творчества, натуралистического опытничества, физкультуры и спорта среди учащихся общеобразовательных школ, опираясь на заинтересованные министерства и ведомства; крепить материально-техническую базу соответствующих внешкольных учреждений;

1. 9. повысить роль и ответственность школьных комсомольских организаций, ученических комитетов в антиалкогольной пропаганде, укреплении дисциплины и порядка.

2. Научным и методическим службам Минпроса создать систему научных и методических разработок для совершенствования форм и методов антиалкогольной пропаганды среди школьников.

3. Принять меры по дальнейшему развитию сети внешкольных учреждений с учетом потребности и специфики региона.

4. Республиканской педагогической прессе, освещать на своих страницах положительный опыт воспитания учащихся в духе трезвости, непримиримости к пьянству и алкоголизму.

5. Просить Государственный комитет по делам издательств, полиграфии и книжной торговли подготовить и издать массовым тиражом в помощь школе средства наглядной агитации по антиалкогольной пропаганде.

6. Просить Государственный комитет по телевидению и радиовещанию предусмотреть специальный цикл передач на антиалкогольную тему для учащейся молодежи.

7. Утвердить план мероприятий Минпроса ГССР по выполнению постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма» (прилагается).

8. Контроль за исполнением настоящего приказа возложить на Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

Основание: решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 20 мая 1985 года.

Министр О. Д. КИНКЛАДЗЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПЛАН

## мероприятий Министерства просвещения ГССР по выполнению постановления ЦК КПСС «О мерах по преоделению пьянства и алкоголизма»

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | Осуществление широкой пропаганды и гласности постановления ЦК КПСС «О мерах по преоделению пьянства и алкоголизма среди работников и учащейся молодежи системы просвещения, активное использование средств массовой информации | Май, июнь | Управления и отделы Минпроса |
| 2 | Подготовка методических указаний по эффективному использованию возможностей учебных предметов общественно-политического, гуманитарного и естественного циклов в антиалкогольной пропаганде среди учащихся | 1985—1986 г. | Управление школ |
| 3 | Внесение вопросов по проблемам алкоголизма и пьянства в лекционную тематику народных университетов педагогических знаний | 1985—1986 г. | Управление школ совместно с советом народных университетов |
| 4 | Введение в тематику курсов ИУУ вопросов антиалкогольной пропаганды | 1985—1986 г. | Управление кадров, ЦИУУ |
| 5 | Разработка методических рекомендаций по вопросам профилактики алкоголизма и пьянства | 1985—1986 г. | НИИ педагогики им. Я. Гогебашвили |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | Введение в систему проведение бесед, лекций, диспутов по вопросам антиалкогольной пропаганды в учреждениях народного образования | С 1985 года | Органы народного образования при участии заинтересованных министерств и ведомств |
| 7 | Осуществление разработанного комплексного плана мероприятий в целях усиления борьбы с правонарушениями среди несовершеннолетних и дальнейшего улучшения правового воспитания учащихся | 1985—1986 г. | Управление воспитательной работы совместно с заинтересованными министерствами и ведомствами |
| 8 | Рост сети детских внешкольных учреждений, числа кружков и клубов в действующих, укрепление их материальной базы | 1985—1986 г. | Министерство просвещения, местные органы народного образования |
| 9 | Разработка и осуществление специальных мероприятий по расширению физкультурной, спортивно-оздоровительной работы, массовому вовлечению учащейся молодежи в спортивный комплекс в ГТО, усилению воспитательной работы с юными спортсменами | 1985—1986 г. | Управление физического воспитания и сторта |
| 10 | Изучение практики использования спортивных баз системы Минпроса и других ведомств в организации физкультурно-спортивной работы среди детей и подростков | 1985—1986 г. | Управление физического воспитания и сторта совместно с Комитетом по физкультуре и спорту, ЦК ЛКСМ Грузии |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | Изучение состояния работы с учащимися по месту жительства. Укрепление контактов с советами микрорайонов, обеспечение педагогической направленности их деятельности | С июня 1985 г. | Местные органы народного образования |
| 12 | Организация рейдов в учреждения системы народного образования, микрорайоны, по месту жительства учащихся в общественные места с целью выявления случаев злоупотребления учителями, родителями, школьниками алкагольных напитков | 1985—1986 г. | Местные органы народного образования |
| 13 | Усиление внимания к вопросам профилактики и борьбы с пьянством и алкоголизмом в детских телевизионных передачах | С июня 1985 г. | Управления школ и воспитательной работы |
| 14 | Использование со всей строгостью возможностей аттестации учителей по отношению к лицам, замеченным в злоупотреблении алкогольных напитков. | 1986—1990 г. | Управление кадров, институты усовершенствования учителей |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება

## „შპარგალკის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკის აღკვეთის შესახებ“

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა იმ მშობლების განცხადება-საჩივრები და თხოვნები, რომელთა შვილებმა საშუალო სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე სცადეს ან გამოიყენეს „შპარგალკა“ და საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად მოხსნილი იქნენ გამოცდებიდან და დაეწერათ არადამაკმაყოფილებელი შეფასების ნიშანი მოცემულ საგანში, გამოცდის შემოდგომაზე გადაბარების უფლებით.

ინსტრუქცია „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ „მოსწავლეს, რომელიც საკონტროლო წერის დროს ან გამოცდებზე შემჩნეული იქნება „შპარგალკის“ გამოყენებაში ან გამოყენების მცდელობაში, ჩამოერთმევა მოცემული საკონტროლო წერისა და გამოცდის გაგრძელების უფლება და გაუფორმდება ნიშანი 2 (ცუდი). აღნიშნულზე ფორმდება სათანადო აქტი, ხოლო საგამოცდო ოქმში გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნა „შპარგალკა“.

„შპარგალკის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკის აღკვეთისათვის ბრძოლამ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი 1977 წლიდან მიიღო და დადებითი შედეგებიც გამოიღო. მიუხედავად ამისა, რიგ სკოლებში ასეთი პრაქტიკა კვლავაც გრძელდება, რაშიც ბრალი, უწინარეს ყოვლისა, მიუძღვის მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს და მათს მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, აგრეთვე სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს და იმ მშობლებს, რომლებიც ხელისშემწყობთა როლში გვევლინებიან.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაგმობილ იქნას მოსწავლეთა მიერ „შპარგალკის“ გამოყენების ან გამოყენების მცდელობის მანკიერი პრაქტიკა და აღიკვეთოს იგი სკოლის დირექტორებზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრებით.

2. უარი ეთქვას განმცხადებლებს, რომლებმაც ითხოვეს პატიება და საგნის გადაბარების უფლება მიმდინარე გამოცდების დამთავრებამდე.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და განმეორებით განხილვას არ ექვემდებარება.

გამოცდების მიმდინარეობის პროცესში „შპარგალკის“ გამოყენე-ბის ან გამოყენების მცდელობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სახალ-ხო განათლების ორგანოებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული გადაწყვეტილებით და ინსტრუქციით „საქართველოს სსრ ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გა-მოშვების შესახებ“.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის სახალხო განათლების საქალაქო (ქალაქებში რაიონულ) განყოფილებებთან არსებულ ცენტრალიზებულ ბუღალტერიებსა და განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებთან არსებულ ბუღალტერიებში საბუღალტრო აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების 1984 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 9 დეკემბრის № 12 ერთობლივი გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც გამოიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 აპრილის № 282 დადგენილების „საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სრულყოფისა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურ და ეკონომიურ გამოყენებაში მისი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 15 აპრილის № 323 დადგენილების „მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა, განიხილეს.რა რესპუბლიკური კომისიის მუშა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები საბუღალტრო აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების 1984 წლის შედეგების შესახებ, გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საბუღალტრო აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომითა და მეორე ფულადი პრემიით:

— ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. მ. გერლიანი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. მ. პაპაჩაშვილი);

— ქ. რუსთავის სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. მ. იობაშვილი);

— ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. გ. გრიგალაშვილი);

— აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. რ. გოგელია);

— აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. ნ. ქომეთიანი);

— ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. თ. გელაშვილი);

— მესტიის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. ნ. იოსელიანი);

— მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ცენტრალიზებული ბუღალტერია (ამხ. მ. კუჭავა).

2. ფულადი პრემიის ოდენობა თითოეული ცენტრალიზებული ბუღალტერიისათვის განისაზღვროს ბუღალტერიის მუშაკთა რიცხობრიობის და განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 11 მაისის № 8 გადაწყვეტილების მე-2 დანართში მოცემული ნორმებით.

3. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს (ამხ. თ. ბალაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
**დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 14 ივნისის ცირკულარული წერილი № ფ-1-167/1-ფ

### სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებისა და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში კვლავ ადგილი აქვს პედაგოგიურ მუშაკთა სამუშაო საათებში მუშაობისაგან მოწყვეტის შემთხვევებს, მათ გამოყენებას სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამსახურებრივ აუცილებლობასა და პედაგოგიური კოლექტივის ძირითად საქმიანობასთან.

ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს ევალებათ მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 5 ოქტომბრის № 749 ბრძანებით „სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებისა და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ (ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 11, 1983 წელი, გვ. 75-76) და განუხრელად შეასრულონ აღნიშნული ბრძანების მოთხოვნები.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ЦИРКУЛЯРНОЕ ПИСЬМО МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### Об эффективном использовании рабочего времени и дальнейшем укреплении трудовой дисциплины

**14 июня 1985 года, № ф-1-167/1-ф**

Министерство просвещения Грузинской ССР отмечает, что в системе народного образования республики по-прежнему имеют место случаи отрыва педагогических работников в рабочее время с использованием их на другие мероприятия, не связанные со служебной необходимостью и основной деятельностью педагогического коллектива.

С целью искоренения все ещё имеющихся в этом деле недостатков Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования г. Тбилиси строго руководствоваться приказом Министерства просвещения Грузинской ССР от 5 октября 1983 года № 749 «О дополнительных мерах по эффективному использованию рабочего времени и дальнейщему укреплению трудовой дисциплины» (Сборник приказов и инструкцией, № 11, 1983 г., стр. 77-78) и неуклонно выполнять требования данного приказа.

Министр О. Д. КИНКЛАДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПОСТАНОВЛЕНИЕ
# СЕКРЕТАРИАТА ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР

## О Положении об отрядах юных инспекторов движения

**14 июня 1985 года**

Секретариат ЦК ЛКСМ Грузии, коллегия Министерства внутренних дел Грузинской ССР, коллегия Министерства просвещения Грузинской СССР постановляют:

1. Утвердить Положение об отрядах юных инспекторов движения. Считать утратившим силу Положение об отрядах юных инспекторов движения, принятое постановлением Секретариата ЦК ЛКСМ, коллегией Министерства внутренних дел СССР, коллегией Министерства просвещения СССР от 6 марта 1973 года № 61/39/4 КМ/9 Р-1.

2. Опубликовать Положение об отрядах юных инспекторов движения в газетах «Норчи ленинели», «Сахалхо ганатлеба» и журнале «Пионери».

3. Контроль за выполнением данного постановления возложить на бюро Республиканского Совета пионерской организации Грузии, Управление ГАИ МВД ГССР, Управление воспитательной работы Министерства просвещения ГССР.

**Первый секретарь ЦК ЛКСМ Грузии В. ЛОРДКИПАНИДЗЕ**

**Министр внутренних дел ГССР Г. ГВЕТАДЗЕ**

**Министр просвещения ГССР О. КИНКЛАДЗЕ**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ПОЛОЖЕНИЕ

## Об отрядах юных инспекторов движения (ЮИД)

### 1. Общие положения

1. 1. Отряды юных инспекторов движения — добровольные объединения школьников, пионеров и комсомольцев, которые создаются с целью воспитания у них гражданственности, высокой общей культуры, коллективизма, профессиональной ориентации, широкого привлечения их к организации пропаганды безопасного поведения на дорогах и улицах среди детей младшего и среднего возраста.

1. 2. Основными задачами отрядов юных инспекторов движения является:

— активное содействие школе в коммунистическом воспитании учащихся, выработка у школьников активной жизненной позиции;

— изучение Правил безопасного поведения на дорогах и улицах, овладение навыками проведения работы по пропаганде Правил дорожного движения и организация этой работы среди детей;

— овладение умениями оказания первой помощи пострадавшим при дорожно-транспортных происшествиях.

1. 3. Отряды юных инспекторов движения создаются из числа школьников, комсомольцев и пионеров в общеобразовательных школах, внешкольных учреждениях, по месту жительства детей и подростков органами народного образования, комсомольскими и пионерскими организациями, Государственной автомобильной инспекцией;

1. 4. Администрация общеобразовательной школы, внешкольного учреждения при содействии органов Государственной автомобильной инспекции подбирает общественного организатора работы с отрядом юных инспекторов из числа активистов общества автомотолюбителей, сотрудников Госавтоинспекции, учителей, воспитателей, членов педагогических отрядов, секций ДНД.

Подготовка общественных организаторов в работе с отрядами юных инспекторов движения осуществляется органами народного образования, Госавтоинспекции и комсомольскими ор-

ганизациями на базе институтов усовершенствования учителей, учебных комбинатов, курсов, обществ автомотолюбителей и лучших школ района, города.

## 2. Основные направления работы отрядов юных инспекторов движения

2. 1. Воспитание у членов отряда ЮИД преданности своей Родине на героических, боевых и трудовых традициях советской милиции, формирование у них социалистического правосознания, гуманного отношения к людям, чувства товарищества.

2 2. Углубленное изучение Правил дорожного движения, овладение методами предупреждения детского дорожно-транспортного травматизма и навыками оказания первой помощи пострадавшим при дорожно-транспортных происшествиях, знакомство с оперативно-техническими средствами регулирования дорожного движения.

2. 3. Проведение массово-разъяснительной работы по пропаганде Правил дорожного движения в школах, детских садах, внешкольных учреждениях с использованием технических средств пропаганды.

2. 4. Участие в смотрах и слетах ЮИД, конкурсах и соревнованиях агитбригады, работе детских кинолекториев, организация деятельности школьных автоплощадок и автогородков безопасности движения.

2. 5. Организация работы с юными велосипедистами.

2. 6. Овладение техническими знанями, участие в смотрах юных техников, в работе кружков технического творчества.

(Рекомендации по содержанию работы прилагаются — приложение 1).

## 3. Структура и организация работы отрядов юных инспекторов движения

3. 1. Членами отрядов юных инспекторов движения могут быть учащиеся в возрасте от 10 лет, изъявившие желание активно участвовать в работе отрядов ЮИД.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 2. Отряд создается при наличии не менее 10 человек и может делиться на отделения. В сельских школах с небольшим числом учащихся допускается создание отрядов юных инспекторов движения менее 10 человек.

3. 3. Прием в члены отряда юных инспекторов движения производится на основе устного заявления на сборе отряда. Со всеми вновь принятыми школьные общественные инструкторы с помощью работников Госавтоинспекции проводят занятия. По окончании обучения юные инспекторы сдают зачет и им на пионерской линейке или собрании школы вручается удостоверение, значок и нарукавная повязка юного инспектора движения (описание атрибутов прилагается — приложение 2).

3. 4. Повседневное руководство работой отряда юных инспекторов движения осуществляет штаб ЮИД, избираемый на общем собрании отряда. Штаб из своего состава избирает командира и комиссара отряда и утверждает командиров отделений. В малочисленных отрядах избирается только командир.

Штаб ЮИД проводит свою работу под руководством совета пионерской дружины, комитета комсомола. Командир отряда ЮИД, как правило, избирается в состав совета пионерской дружины или комитетов комсомола.

Командир и комиссар отряда, командиры отделений носят соответствующие знаки различия.

## 4. Обязанности и права юного инспектора движения

4. 1. Юный инспектор движения обязан:

4. 1. 1. Дорожить честью, званием юного инспектора движения, активно участвовать в делах отряда, своевременно и точно выполнять задания штаба и командиров.

4. 1. 2. Изучать Правила дорожного движения и быть примером в их соблюдении.

4. 1. 3. Вести разъяснительную работу среди сверстников и детей младшего возраста по пропаганде Правил безопасного поведения на дорогах.

4. 1. 4. Всемерно беречь и укреплять общественный правопорядок, участвовать в предупреждении нарушений детьми Правил дорожного движения.

4. 1. 5. Укреплять свое здоровье, систематически заниматься физической культурой и спортом.

4. 2. Юный инспектор движения имеет право:

4. 2. 1. Участвовать в обсуждении всех вопросов, относящихся к деятельности отряда, и вносить соответствующие предложения.

4. 2. 2. Избирать и быть избранным в штаб отряда юных инспекторов движения.

4. 2. 3. Овладев знаниями, умениями и навыками, методикой и практикой работы по профилактике детского дорожно-транспортного травматизма, получить звание «Юный инспектор по безопасности движения». Звание «Юный инспектор по безопасности движения» присваивается советом дружины после проверки умении в практической работе. В торжественной обстановке юному инспектору по безопасности дорожного движения вручается удостоварение, значок и нарукавная повязка.

4. 2. 4. Обращатся за помощью и консултацией по вопросам безопасности дорожного движения и общественного провопорядка в местные органы милиции и Госавтоинспекции.

4. 2. 5. Носить установленные знаки различия юных инспекторов движения.

4. 2. 6. Под руководством работников милиции, членов добровольных народных дружин участвовать в патрулировании на улицах, в микрорайоне школы, внешкольных учреждений, по месту жительства по соблюдению Правил дорожного движения, организации разумного досуга детей и подростков.

4. 3. Юный инспектор может награждаться за активную работу в отряде органами внутренних дел и народного образования, пионерскими и комсомольскими организациями, обществом автомотолюбителей, грамотами, нагрудными значками, ценными подарками, путевками в пионерские лагеря; направлятся на областные, краевые и республиканские слеты юных инспекторов движения.

## 5. Материально-техническое обеспечение отрядов юных инспекторов движения

5. 1. Расходы на проведение работы с отрядами юных инспекторов движения (сборы, слеты, соревнования; смотры, экскурсии, походы, викторины и т. д.), строительство автоплощадок и автогородков и их оборудование, приобретение для отрядов форменной одежды, значков, удостоверений, учебных пособий, литературы, имущества для культурно-массовой работы, технических средств пропаганды, канцелярских и других принадлежностей, оборудование уголков юных инспекторов движения;

обучение членов отрядов и общественных организаторов работы с отрядами ЮИД и др. осуществляется органами внутренних дел за счет средств, отчисляемых от страховых платежей, а также добровольными обществами автомотолюбителей и другими заинтересованными организациями и ведомствами.

5. 2. Для проведения практических занятий с отрядами юных инспекторов движения комитеты комсомола шефствующих предприятий, органы ГАИ, советы общества автомотолюбителей, органы народного образования и другие заинтересованные организации и ведомства предоставляют инвентарь, технику, оборудование, снаряжение и выделяют специалистов.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕКОМЕНДАЦИИ

## по содержанию работы отряда ЮИД, командира и комиссара этого отряда

Содержание деятельности отряда юных инспекторов движения имеет несколько направлений.

Информационная деятельность:

— организация школьных передач по результатам деятельности отряда ЮИД, создание стендов «ЮИД в действии», стенгазеты «Юный инспектор движения», боевых листков «За безопасность движения» и другой информационной работы, ведение документации отряда; патрульный журнал, планово-отчетная папка «Задумано — сделано», карта «Зоны действия отряда ЮИД в микрорайоне», паспорт отряда.

Пропагандистская деятельность:

— организация разъяснительной работы по теме безопасности дорожного движения, проведение бесед, викторин, кинолекториев, игр, экскурсий, соревнований, конкурсов, КВН, тематических утренников и праздников, постановка спектаклей, создание агитбригад «Светофор»; участие в создании и использовании наглядной агитации и методической базы для изучения правил дорожного движения.

Шефская деятельность:

— оказание помощи в создании простейших автоплощадок на территории детских садов, мастерской «Умелые руки» для подготовки наглядных пособий для малышей, организации среди дошкольников конкурсов рисунков по теме безобасности движения, разучивание песен и стихов, помощь воспитателям в проведении экскурсий «Азбука дорог».

Более опытные инспекторы движения отряда могут принять участие в патрульной деятельности:

— участие в сопровождении взрослых в патрулировании и рейдах в целях предотвращения нарушений со стороны детей и подростков Правил дорожного движения; выпуск «молний по результатам патруля и рейдов; информирование совета дружины и родителей о нарушении школьниками Правил дорожного движения, дежурство у перекрестков и микрорайонов школы, организация практических игр на территории автогородков без-

опасности движения и автоплощадок и регулирование движения детского автотранспорта, участие в создании автоплощадок на пришкольных участках и в других местах, выделенных для этой цели, работа с юными велосипедистами.

Кроме указанных могут быть и другие направления в работе отряда ЮИД.

**Основные обязанности командира отряда:**

— возглавлять работу отряда, разрабатывать и вносить на утверждение план работы отряда на совет дружины или комитет комсомола, контролировать деятельность отделений, проводить заседания штаба, итоговые сборы, линейки, являться представителем отряда на районных семинарах, сборах командиров отряда ЮИД.

**Основные обязанности комиссара отряда:**

— помощник командира, ведет политико-воспитательную работу в отряде, организует изучение боевых и трудовых традиций советской милиции, способствующих патриотическому воспитанию членов отряда ЮИД, организует экскурсии, оформление виставок, проведение встреч и вечеров, посещение музеев и другие мероприятия.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Отрибуты юного инспектора движения

1. Члену отряда ЮИД, прошедшему подготовку и сдавшему зачет по знанию Правил дорожного движения, торжественно вручается значок «Юный инспектор движения», удостоверение и нарукавная повязка и изображением трех цветов — сигналов светофора.

Значок представляет собой золотистый силуэт автомобиля, над которым — символический флажок с изображением полос пешеходного перехода (темно — серые и белые линии) на красном древке. На фоне древка заглавные буквы «Ю», «И», «Д», на фоне темно-серых полос остальные буквы слов «Юный», Инспектор», «Движения», ободок флажка также золотой.

Удостоверение — картонная карточка размером 9 см×6 см.

На I стороне «ЮИД», место фамилии, имени, № школы, название республики, края, области, города, района.

На 2 стороне — «Обязанности и права членов отрядов ЮИД».

Нарукавная повязка красного цвета высотой 80 мм с изображением трех цветов сигналов светофора (диаметром 25 мм), расположенных вертикально.

2. Юные инспекторы движения, активно участвующие в работе отряда, могут носить форменную одежду ЮИД, состоящую из синей куртки с погончиками и накладным карманом на левой стороне груди, синих брюк (синей юбки в складку) и светлой рубашки (блузы), портупеи белого цвета, пилотки из ткани костюма: на левом рукаве синий шеврон (высота 80 мм, ширина 65 мм) с изображением трех цветов сигналов светофора (диаметром 20 мм), на пилотке — значок (диаметром 30 мм) — красный круг с белым ободком — символ школьного жезла с красным сигналом, на груди значок юного инспектора движения.

Элементы торжественной формы: пилотка заменяется белым беретом, добавляется двойной аксельбант и перчатки белого цвета.

Для патрулирования, работы на «магистралях» автогородков безопасности движения и соправаждения групп, классов или строя определяется патрульная форма: поверх школьной формы надевается желтая накидка, желтые удлиненные нарукавники, желтая пилотка или шлем. Для организации движения пользо-

ваться необходимо только школьным жезлом.

4. Члены штаба отряда ЮИД имеют следующие знаки различия: командир отряда — одну большую золотистую звездочку (20 мм); комиссар отряда — две маленькие золотистые звездочки (13 мм).

Звездочки приклепляются на левом рукаве форменной одежды юного инспектора движения над шевроном или на нарукавной повязке, если юному инспектору движения, выбранному в состав актива, еще на была вручена форменная одежда.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 17 ივნისის ცირკულარული წერილი № 03/14-67-99

## დიდი სამამულო ომის ვეტერანთა და ინვალიდთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 26 აპრილს (ოქმი № 10) განიხილა საქართველოს სსრ პროკურატურის წარდგინება „დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭების საქმეში კანონმდებლობის უხეში დარღვევების შესახებ“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ადგილებზე ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები.

წარდგინებაში რიგ უწყება-დაწესებულებებთან ერთად, რომლებსაც ამ საქმეში დარღვევები გაჩნიათ, დასახელებულია ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1985 წლის 26 აპრილს მიღებული დადგენილება (ოქმი № 10) და რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინება დაეგზავნა საქართველოს სსრ ყველა აღმასკომს.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს ევალებათ დაწვრილებით გაეცნონ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს და განუხრელად იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში.

მინისტრის მოადგილე ო. დოლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 20 ივნისის ბრძანება № 379

### გამოსაშვებ გამოცდებზე გამოვლინებულ ზოგიერთ უხეშ დარღვევათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ არაერთხელ აღნიშნა მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასების აუცილებლობის და ამ საქმისადმი სკოლის დირექტორების, აგრეთვე, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების არაეფექტური ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესახებ.

მიუხედავად ამისა, გამოსაშვები გამოცდების მსვლელობის დროს რესპუბლიკის რიგ სკოლებში გამოვლინდა მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე. ზოგიერთი მასწავლებელი უფრო მეტს ზრუნავს მედალოსან მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდაზე, ვიდრე მათი ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე. ამის შედეგია ის, რომ ზოგჯერ თვით მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების ხელშეწყობით, აგრეთვე სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკთა წაყრუებით ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა, მათ შორის ოქროს მედლის კანდიდატთა მიერ „შპარგალკის“ გამოყენებას, ან მისი გამოყენების მცდელობას.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ბიკაშვილი) გამომცდელმა მასწავლებელმა ფ. როსტომაშვილმა, დაარღვია რა საგამოცდო ინსტრუქცია, ორჯერ თვითნებურად დატოვა წერითი გამოცდა, შევიდა ქიმიის კაბინეტში და მოსწავლეთათვის გადასაცემად ამრავლებდა საგამოცდო დავალების მესამე საკითხის ამოხსნას — „შპარგალკას“. აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა, მათ შორის მედლის კანდიდატებმა, მათემატიკაში გამოამჟღავნეს ცოდნის დაბალი დონე, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა მათ წლიურ შეფასებას.

დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. თანიაშვილი) დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. კვერცხაშვილმა, რომელიც ამავე დროს ქიმიის მასწავლებელიცაა, დაარღვია საგამოცდო ინსტრუქცია და მოსწავლეებს წინასწარ გააცნო და აგრეთვე ამოახსნევინა საგამოცდო ბილეთების მესამე საკითხში გათვალისწინებული ამოცანები. მიუხედავად ამისა, მოსწავლეებმა საგნის ცოდნის დაბალი დონე გამოავლინეს.

ყვარლის, დუშეთისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვებული დარღვევები მოწმობს, რომ მასწავლებლებმა, სკოლის დირექტორებმა და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეასუსტეს შინასასკოლო, აგრეთვე საინსპექტორო კონტროლი, ურიგდებიან მოსწავლეთა ნაწილის ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნის დაბალ ხარისხს და ვერ აღკვეთეს „შპარგალკის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ ა. წ. სექტემბრის თვის ჩათვლით განიხილონ აღნიშნული ბრძანება კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების, სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და კონკრეტულად იმსჯელონ გამოცდების პერიოდში დაშვებული დარღვევების, ლიბერალიზმისა და სხვა მსგავს გამოვლენათა თითოეულ ფაქტზე, სათანადო ორგანიზაციული ზომების მიღებით. მასწავლებელი და სკოლის სხვა მუშაკი, რომელიც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან შეუფერებელ მოქმედებას დაუშვებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნილ უნდა იქნას სამუშაოდან.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებით ყვარლის რაიონის სახალხო განათლების საბჭომ განიხილა საკითხი „შილდის 1-ლ საშუალო სკოლაში მათემატიკის გამოსაშვებ გამოცდაზე მომხდარი ფაქტის შესახებ“ და სკოლის დირექტორს ამხ. დ. ბიკაშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადა, ხოლო ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. როსტომაშვილი სამუშაოდან გათავისუფლდა.

3. დაევალოს დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (ამხ. ვ გოგოლაური) მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე განიხილოს სოფელ ჭოპორტის საშუალო სკოლაში მომხდარი ფაქტი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

4. აღინიშნოს, რომ ყვარლისა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. იოსებაშვილი, ვ. გოგოლაური) ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სკოლების მუშაობის პრაქტიკიდან ისეთი მავნე ჩვევების აღმოფხვრა, როგორიცაა არაობიექტურობა, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი და უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

5. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ და დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება

## მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ

კოლეგიამ მოისმინა და განიხილა რა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები, გადაწყვიტა:

1. ცნობა „მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სახელმძღვანელოდ.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

2. 1. საფუძვლიანად გააანალიზონ ოლიმპიადის მზადებისა და მსვლელობის პერიოდში გამოვლენილი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, პრობლემები და ხელისშემშლელი პირობები, შეიმუშაონ კონკრეტული პროგრამა არსებული ხარვეზებისა და სიძნელეების დასაძლევად ოლიმპიადის დებულების ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინებით;

2. 2. ყოველმხრივ განამტკიცონ საქმიანი კონტაქტები კულტურის დაწესებულებებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებთან მოსწავლეთა მხატვრული აღზრდისა და ესთეტიკური განათლების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების, მოზარდთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარების ერთიანი კრიტერიუმების შესამუშავებლად. მიაღწიონ იმას, რომ ოლიმპიადისათვის მზადება ატარებდეს არა კამპანიურ ხასიათს, არამედ წარმოებდეს გეგმაზომიერად მთელი სასწავლო წლის მანძილზე;

2. 3. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ადგილებზე მხატვრული თვითმოქმედების წრეების ხელმძღვანელთა კადრების სწორად შერჩევისა და დანიშვნის, მათი პროფესიული დაოსტატებისა და მუშაობისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის, მოწინავე პედაგოგთა წახალისების საკითხებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

3. 1. უზრუნველყონ სათანადო პირობების შექმნა მხატვრული თვითმოქმედების წრეების გასაფართოებლად, განსაკუთრებით საბალეტო, სახასიათო, სიუჟეტური და სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი ჯგუფების სახით. სისტემატური კონტროლის ქვეშ იქონიონ მხატვრული თვითმოქმედების წრეების საქმიანობა, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოისმინონ წრის ხელმძღვანელთა ანგარიშები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 2. კვლავაც გაითვალისწინონ თვითმოქმედი ანსამბლების წევრებისათვის კოსტუმების შეძენისას ყველა კუთხის ეთნოგრაფიული მხარისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, დაიცვან ამ საქმეში მხატვრული სისადავე და მოხდენილობა.

4. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს (ამხ. თ. მდივანი):

4. 1. დაყოფილი რეგიონების მიხედვით დააწესოს ოლიმპიადის ზონალური ტურების ჩატარება ყოველწლიურად:

4. 2. 1986 წლის მარტისათვის წარმოადგინოს მომავალი ოლიმპიადის მოსამზადებელ სამუშაოთა პროგრამა, მასვე დაევალოს მოსწავლეთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ორგანიზაცია;

4. 3. დაამუშაოს გამოსაცემად ქორეოგრაფიული სტუდიების (წრეების) სასწავლო პროგრამა;

4. 4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირთან ერთად მოამზადოს დასასტამბად ქართული ხალხური სოლო და საგუნდო სიმღერების კრებულები;

4. 5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირთან ერთად მოაწყოს რესპუბლიკური კონკურსი მუსიკის სხვადასხვა ჟანრში საბავშვო ნაწარმოებთა შესაქმნელად;

4. 6. შეიმუშაოს რეკომენდაციები მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

4. 7. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად მოაწყოს სემინარები და კონსულტაციები რეგიონების მიხედვით მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელებისათვის.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) საგამომცემლო გეგმებში გაითვალისწინოს ქართული ხალხური, სოლო და და საგუნდო სიმღერების კრებულების გამოცემა.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) სისტემატურად ჩაატაროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სემინარები ესთეტიკური ციკლის საგნების მასწავლებლებისა და მხატვრული წრეების ხელმძღვანელებისათვის.

7. აღინიშნოს წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების (ამხ. ამხ. ხ. ანასტასოვი, ს. ჯაგაცპანიანი, ა. გაბრიელიანი, ნ. ჩადუნელი) ზერელე დამოკიდებულება მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადისადმი, რის გამოც დასახელებული რაიონების სკოლებს დასკვნით ტურში მონაწილეობა არ მიუღიათ.

8. აღინიშნოს ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტისა და ჟიურის, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის თანამშრომელთა ნაყოფიერი მუშაობა მოსწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის მაღალორგანიზაციულ დონეზე მომზადებისა და ჩატარებისათვის.

9. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე ჩატარებისათვის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ „სახალხო განათლების წარჩინებული“ სამკერდე ნიშნით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გუნდებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სასკოლო დრამატული და თოჯინური თეატრების ხელმძღვანელები (დანართი 1).

10. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (ამხ. რ. ძერია) რედაქციებმა განაზოგადონ მოსწავლეთა საუკეთესო მხატვრული კოლექტივების მუშაობის გამოცდილება, სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის საკვანძო საკითხები.

11. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე, პროპაგანდა გაუწიოს ოლიმპიადაზე გამოვლენილ მოსწავლეთა საუკეთესო თვითმოქმედ კოლექტივებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს.

12. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

დანართი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილე კოლექტივების „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ ხელმძღვანელთა სია

1. პანტელეიმონ ვასილის ძე ბოჯგუა — ცხაკაიას რაიონის მე-3 საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი
2. ილამაზ კონსტანტინეს ძე ქოჩქიანი — ლენტეხის რაიონის საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი
3. შურმან ანტონის ძე ბენდელიანი — ლენტეხის რაიონის საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი
4. სიმონ ხულუსის ძე ფუტკარაძე — შუახევის რაიონის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი
5. დავით არქიფოს ძე ჯიშკარიანი — ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი
6. არჩილ ფისკოს ძე გაგნიძე — ახმეტის რაიონის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელი
7. ნუნუ ვასილის ასული ღვინერია — თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი
8. ალექსანდრე შალვას ძე ქართველიშვილი — თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი
9. ლია იოსების ასული სულუაშვილი — ახალციხის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი
10. ნადეჟდა ივანეს ასული წიკლაშვილი — ლაგოდეხის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი
11. ჯუმბერ ივანეს ძე ჯანგულაშვილი — თელავის რაიონის სოფელ აკურის საშუალო სკოლის ბიჭუნების ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელი
12. ნინო ალექსანდრეს ასული გამსახურდია — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე
13. ჯენარო გივის ასული ლუხუტაშვილი — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის სექტორის გამგე
14. ირინე მიხეილის ასული ცეკვაშვილი — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი
15. ლაურა ვლადიმერის ასული ანთელავა — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ლალი ბორისის ასული ჩხეიძე — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე

17. ნანული გიორგის ასული ლაღიძე — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

18. იზა გიორგის ასული მესხი — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის საგამომცემლო განყოფილების გამომშვები

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით:

1. მექი ალექსანდრეს ძე ყურაშვილი — ცაგერის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელი

2. ვახტანგ ვლადიმერის ძე ჯორჯიკია — ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი

3. ზურაბ მიხეილის ძე ბოლქვაძე — გეგეჭკორის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი

4. გურამ ლეონიდეს ძე ჩოჩია — გეგეჭკორის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი

5. კარლო სტეფანეს ძე ბურძიკიშვილი — ახმეტის რაიონის სოფელ ალვანის რვაწლიანი სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

6. ვახტანგ გრიგოლის ძე ბართაია — გეგეჭკორის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი

7. ნასყიდა გიორგის ძე ოქრუაშვილი — ახმეტის რაიონის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

8. პავლე პეტრეს ძე დემურიშვილი — თელავის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი

9. ბადრი ლევანის ძე დარჩიძე — შუახევის რაიონის სოფელ ფოლადაურის საშუალო სკოლის გუნდისა და ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

10. თამაზ მურადის ძე ბეჟანიძე — ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

11. გელა ვლადიმერის ძე გუგავა — ლენტეხის რაიონის სკოლა-ინტერნატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი

12. გელა შოთას ძე მიქაძე — ლენტეხის რაიონის სკოლა-ინტერნატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი

13. გოჩა დუროს ძე ჭანკვეტაძე — თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

14. მარინე დავითის ასული ფერაძე — ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. გივი ლევანის ძე ნაცვლიშვილი — საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

16. ელგუჯა გივის ძე მამალაძე — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების მე-2 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

17. ავთანდილ ლევანის ძე მოდრეკილაძე — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელი

18. დალი ალექსის ასული კანდელაკი — მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლის ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელი

19. ლუიზა მიხეილის ასული მაჭავარიანი — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

20. თენგიზ ვიქტორის ძე სანაია — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი

21. იური ოლეგის ძე დადიანი — თბილისის 32-ე საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი

22. ჭიჭიკო დავითის ძე ბოხუა — თბილისის ა/კ რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

23. იური გერმანეს ძე დოლიძე — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი

24. ლია მიხეილის ასული ალავიძე — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

25. მარინე შოთას ასული ვეკუა — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1984 წლის 10 აპრილის დადგენილების თანახმად ფართო მუშაობა იქნა გაშლილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის მოსაწყობად, რომელიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს.

ოლიმპიადის მიზანი იყო საბჭოთა ქვეყნის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ამსახველი ხელოვნების ნიმუშების ღრმად გაცნობა, მოსწავლეთა მხატვრული გემოვნების განვითარება, ნიჭიერ შემოქმედთა გამოვლენა და ფართო ასპარეზზე გამოყვანა, ეროვნული კულტურის ტრადიციების აღდგენა და გავრცელება.

ნაყოფიერად იმუშავა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა და შტაბმა, დროულად დაისტამბა და ადგილებზე დაიგზავნა სხვადასხვა სარეკომენდაციო მასალები და დებულებები. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში შეიქმნა ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაში გაერთიანებულ იქნენ გამოცდილი სპეციალისტები, აქტივის წარმომადგენლები. მათ მიერ დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა იქნა გაწეული ოლიმპიადის მაღალიდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის. დებულების შესაბამისად ოლიმპიადა მოეწყო ოთხ ტურად: შინასასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და ბოლოს დასკვნითი-რესპუბლიკური. ტურების მიხედვით დათვალიერებები ჩატარდა სხვადასხვა დროს. დათვალიერებებში სულ მონაწილეობა მიიღო 600 000-მდე მოსწავლე ახალგაზრდამ მათ შორის რაიონული (საქალაქო, საოლქო) ტური გაიარა 265 000 მოსწავლემ, ზონალური — 62000, რესპუბლიკური კი 18 000 მოზარდმა.

მოსწავლეთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადა გამოირჩეოდა მასში მონაწილე კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა სიმრავლით, სარეპერტუარო და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, იდეური სრულყოფით, თანამედროვეობით. ოლიმპიადა გამსჭვალული იყო დიდი ინტერნაციონალური სულისკვეთებით. ფორუმზე ვრცლად წარმოჩინდა ის საქმიანობა, რასაც სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, განათლების ორგანოები, კომკავშირი ატარებენ მოსწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კომუნისტური და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, ნათლად გამოიკვეთა მოსწავლე ახალგაზრდობის სამშობლოსადმი სიყვარული, ერთგულება და თავდადების სულისკვეთება.

ოლიმპიადას აქტიურად გამოეხმაურნენ მწერლები, კომპოზიტორები, რეჟისორები, მხატვრები, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია. შეიქმნა მრავალი ახალი მუსიკალური ნაწარმოები, ლექსი და სხვ. საგრძნობლად გამოცოცხლდა ბავშვთა თვითმოქმედი წრეებისა და კოლექტივების საქმიანობა, რიგ ქალაქებსა და რაიონებში მოსწავლეთა თვითმოქმედების დათვალიერება ხელოვნებისა და ბავშვთა შემოქმედების ნამდვილ ზეიმად იქცა.

ოლიმპიადის ჩატარების საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, ახმეტის, ცხაკაიას და სხვა კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები. დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩაატარეს ადგილობრივი ოლიმპიადები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, ზუგდიდის, მახარაძის, ლენტეხის, თერჯოლის, ყაზბეგისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა.

ოლიმპიადამ ცხადჰყო, რომ ტრადიციულ საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებთან ერთად ძალზე დიდი ყურადღება ეთმობა ხელოვნების დარგის ისეთ სახეობებს, როგორიცაა საბავშვო ოპერა, ოპერეტა, დრამატული კოლექტივები, თოჯინური სპექტაკლები, ფერწერა, გამოყენებითი ხელოვნება, ვოკალი, ხალხურ საკრავთა, სასულე, კამერული ორკესტრები, გიტარის ანსამბლები, საესტრადო ჟანრი, თანამედროვე საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და მრავალი სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგუნდო-საშემსრულებლო რეპერტუარი, ხალხურ სიმღერებთან ერთად მოსწავლეები მღეროდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, სიმღერებს სამამულო ომის თემაზე, პარტიაზე, კომკავშირზე, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობაზე, ჩვენს სახელოვან აწმყოსა და მომავალზე; დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საგუნდო კლასიკას.

სიმღერის შესრულების დახვეწილი მანერით, ბგერის კულტურით, რეპერტუარით მაღალ დონეზე იდგნენ ქუთაისის მე-3, თბილისის 66-ე, 38-ე, ბათუმის 1-ლი, მე-16 და მე-6, ზუგდიდის მე-2, ლენტეხის რაიონის და ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის საშუალო სკოლების მომღერალთა გუნდები (ხელმძღვანელები: ს. ვეფხვაძე, თ. სანაია, გ. დადიანი, ა. ანანიძე, თ. ბიბილეიშვილი, მ. მესხიძე, ვ. ჯორჯიკია, ვ. გუგავა, პ. დემურიშვილი). ჟიურის მოწონება დაიმსახურეს ქუთაისის მე-2 და 32-ე, სოხუმის მე-10 და მე-14, ზუგდიდის რაიონის სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელ კახეთის გახანგრძლივებული, მახარაძის რაიონის 1-ლი, სოფელ ნატანების მე-2, ქ. ცხინვალის მე-11, გურჯაანის რკინიგზის, ტყიბულის რაიონის 1-ლი, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების, რუსთავის მე-18, თელავის რაიონის 1-ლი, ცხაკაიას რაიონის მე-2, ლანჩხუთის რაიონის 1-ლი, კასპის რაიონის 1-ლი, თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის საშუალო სკოლებისა და ლენტეხის რაიონის სკოლა-ინტერნატის მომღერალთა გუნდებმა. თბილისის 125-ე, ცხაკაიას რაიონის მე-3 და ცაგერის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლების კამერულმა გუნდებმა (ხელმძღვანელები: ნ. ედგარიძე, გ. ჩახუნაშვილი, ვ. ჭკადუა, ა. ლევტუხი, ა. ანანიძე, ვ. ჩიჩუა, ე. ჯორჯიკია, ე. თირქია, ე. შენგელია, მ. ციმინტია, ნ. გოგშელიძე, გ. ცელაძე, მ. შავიშვილი, ა. გოგოლაძე, ი. ცხოიძე, ო. სიუკაევი, ც. ქათამაძე, ა. ზარიძე, თ. თოდრაძე ნ. წევლაძე, ი. დათაშვილი, პ. ღემურიშვილი, პ. ბოჯგუა, ნ. ჩავლეიშვილი, ი. კობიაშვილი, ი. მერაბიშვილი, ა. კუბლაშვილი, კ. გრიკლაშვილი, გ. დანელიანი, ვ. გაბარაევი, ლ. თავართქილაძე, ლ. ჩიხელაშვილი, რ. ყურაშვილი). წარმატება დაიმსახურეს თბილისის 171-ე, 161-ე, 125-ე, სოხუმის 1-ლი და მე-5, ქ. ზუგდიდის მე-3, ლენინგორის რაიონის, ცხაკაიას რაიონის მე-2 საშუალო სკოლების ვოკალურმა ჯგუფებმა და ანსამბლებმა. ოლიმპიადაზე მოწონება წილად ხვდათ თბილისის მე-14, ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრის, კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის, მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლების ხალხურ საკრავთა ორკესტრებს. ასევე უმაღლესი შეფასებები მიიღეს მცხეთის რაიონის, ქ. ქუთაისის პიონერთა სახლების, გაგრის რაიონის მე-4 საშუალო სკოლის სასულე ორკესტრებმა, კამერულმა ანსამბლმა და გიტარების კვინტეტებმა.

უნდა აღინიშნოს ის დიდი მონდომება და ენთუზიაზმი, რაც რესპუბლიკის რიგი სკოლების კოლექტივებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ გამოიჩინა ხელოვნების ისეთი რთული დარგისადმი, როგორიცაა საოპერო ჟანრი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის, თერჯოლის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის, ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის საშუალო, ჭიათურის რაიონის მე-3 და თბილისის 138-ე საშუალო სკოლების საოპერო დასებმა.

მაღალი ოსტატობით აღინიშნა ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებელი რიგი კოლექტივები. ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით, მოძრაობებისა და ილეთების შესრულების სისწორით, ბავშვური სილაღითა და უშუალობით, დადგმის მრავალფეროვნებით ჟიურის საუკეთესო შეფასებები დაიმსახურეს თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული, 23-ე, 39-ე 114-ე, 166-ე, ქუთაისის მე-3, სოხუმის 1-ლი და მე-11; გალის რაიონის 1-ლი, ბათუმის 1-ლი, მე-2, მე-16, ქობულეთის რაიონის 1-ლი, ქ. ზუგდიდის მე-2, ზუგდიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული, ლენტეხის რაიონის, ამბროლაურის რაიონის მე-2, მახარაძის რაიონის ნატანების მე-2, მახარაძის რაიონის 1-ლი, წალენჯიხის რაიონის მე-2, ჩოხატაურის რაიონის 1-ლი, ლანჩხუთის რაიონის 1-ლი, ტყიბულის ზონის მე-2, ახმეტის რაიონის ქორეოგრაფიული სტუდიის, სოფლების ქისტაურისა და ზემო ალვანის, ქ. ტყვარჩელის მე-5, შუახევის რაიონის, ბათუმის მე-4, ქ. ზუგდიდის მე-2, თელავის რაიონის მე-4, სოფელ კისისხევის, ჩოხატაურის რაიონის მე-2, ქ. გორის მე-6, ახმეტის რაიონის 1-ლი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის, მაიაკოვსკის რაიონის ეგ. ნინოშვილის, აბაშის რაიონის მე-2 საშუალო სკოლების, ჯავის რაიონის სკოლა-ინტერნატის, თიანეთის რაიონის რვაწლიანი სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და ჯგუფებმა (ქორეოგრაფები: ღვინერია, ქართველიშვილი, ბოხუა, ხუჩუა, რეხვიაშვილი, ზივზივაძე, ბალახაშვილი, ჩახავა, ჭკადუა, ბეჟანიძე, მჭავია, ჩიჩუა, ბულია, ნადარეიშვილი, ბენდელიანი, სურგულაძე, დუნდუა, გვარამაძე, გაგნიძე, ჯიბუტი, დვალი, ოქრუაშვილი, რიგვავა, ქათამაძე, გუჯაბიძე, ჭკადუა, მურველიშვილი ფეიქრიშვილი, ოქრუაშვილი, ვადაჭკორია, ჯაში, ლაშხი, გვასალია, ძაგანიძე, მემარნიშვილი, ბულია, კობერიძე, ჩოჩია, გაგლოევი, მენთეშაშვილი).

აღნიშნულ კოლექტივებში ცეკვისა და მუსიკის ხალხურ ხასიათთან ერთად დაცული იყო ყველა კუთხის კოსტიუმისათვის დამახასიათებელი ნიშანი, მხატვრულად, სადად და მოხდენილად გაფორმებული. შესრულების მაღალი ოსტატობა გამოავლინეს ქართული, საბჭოთა და მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა თ. მოსაშვილმა და ნ. ფარადაშვილმა (თბილისის 55-ე საშუალო სკოლა), თ. ქაჯაიამ და მ. სვანიძემ (თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა), ლ. ონიანმა (ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა), გ. უშხვანმა (ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა), ი. ნორაკიძემ და თ. ცაგურიამ (სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა), დ. დათიკოევამ და ე. თედეევმა (ზნაურის რაიონის საშუალო სკოლა), ა. თუაევმა (ქ. ცხინვალის მე-11 საშუალო სკოლა), ლ. ხოხაშვილმა, ნ. ცინცაძემ და გ. დავითურმა (კასპის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლა), ბ. პეტრიაშვილმა და თ. გეგელაშვილმა (ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლა), გ. ლორთქიფანიძემ და ზ. ოტიაშვილმა (ახმეტის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა) და სხვ.

ოლიმპიადაზე მაღალ იდეურ-პროფესიულ დონეზე იქნა წარმოდგენილი ვოკალური ხელოვნება. საინტერესო ვოკალური მონაცემებით სპეციალისტთა ყურადღება მიიქციეს თბილისის მე-10 (დები გაბისონიები), 23-ე (დები სანაძეები), 47-ე (აბზიანიძე), 150-ე (დები ვერგულენკოები), ზესტაფონის მე-5 (მდივანი), გალის (ჩაკაბერია), თიანეთის ღულულების (სულაქველიძე), მეჯვრისხევისა (კვირიკაშვილი) და ფასანაურის საშუალო სკოლების (გ. დავითური) მოსწავლეებმა, რაც

მათთან პედაგოგების სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად.

ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იქნა მრავალი საინტერესოდ გადაწყვეტილი დრამატული და თოჯინური სპექტაკლი, საყურადღებოა, რომ მათ დადგმასა და გაფორმებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო თვით მოსწავლე ახალგაზრდობამ.

საოლიმპიადო ჟიურის გადაწყვეტილებით უმაღლესი შეფასება მიიღეს თბილისის 24-ე, 147-ე საშუალო სკოლებმა და მხატვრული აღზრდის სახლის, ქუთაისის 28-ე, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის საშუალო სკოლის და ლაგოდეხის რაიონის პიონერთა სახლის თოჯინურმა სპექტაკლებმა, თბილისის მე-4, თბილისის მხატვრული აღზრდის სახლის, ქუთაისის 28-ე, მახარაძის რაიონის, ქ. ზუგდიდის მე-11, ზესტაფონის რაიონის სოფლების კვალითისა და ზოვრეთის საშუალო სკოლების დრამატული თეატრების კოლექტივებმა. მეტყველების მაღალი კულტურა გამოავლინეს მხატვრული კითხვის ნორჩმა ოსტატებმა. აღსანიშნავია თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, გაგრის, საგარეჯოს, ყვარლის და სხვ. რაიონებისა და ქალაქების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ გაწეული შრომა მოსწავლეთა მხატვრული კითხვის დაოსტატებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები მხარში უდგანან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას,ეს არ ითქმის ხაშურის, ბორჯომის, წალკის, ბოლნისის, დმანისის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების ხელმძღვანელ ამხანაგებზე; რიგი რაიონების ადგილობრივმა საორგანიზაციო კომიტეტებმა ვერ შეძლეს ზონალურ დათვალიერებაზე მხატვრული კოლექტივების ჩამოყვანა, რამაც რაიონებში რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლების და სპეციალური ჟიურის გამგზავრებით ჩასვლა გამოიწვია (მცხეთის, კასპის, სიღნაღის, წალენჯიხის, თეთრი წყაროს, სოხუმის და სხვ.).

გარდა ამისა, მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ გამოავლინა ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც ჯერ კიდევ ფართოდ არის ფეხმოკიდებული მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ყველაზე მტკივნეულია კადრების საკითხი, რომელიც თავი და თავია ნაკლოვანებების არსებობისა. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი, სკოლა განიცდის მაღალკვალიფიციური კადრის ნაკლებობას, მთელ რიგ რაიონში არ არიან ადგილობრივი ქორეოგრაფიული კადრები, ლოტბარები, რეჟისორები, მხატვრები, განსაკუთრებით კი ხალხურ საკრავთა სპეციალისტები. სკოლებში ჯერ კიდევ ნაკლებადაა საბალეტო, სახასიათო და სამეჯლისო ცეკვების შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლელი წრეები. მოძმე რესპუბლიკების, მსოფლიოს ხალხთა ხალხური, სიათო და სიუჟეტური ცეკვები მხოლოდ ზოგიერთი ქორეოგრაფიული ანსამბლის პროგრამას ამრავალფეროვნებდა.

მე-12 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გარკვეული მიზეზების გამო მონაწილეობა არ მიუღიათ წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონებს. კლიმატური პირობების გამო ოლიმპიადაზე ჩამოსვლა ვერ შეძლეს მესტიის, ხულოსა და ქედის რაიონებმა.

ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილე კოლექტივების ორგანიზებულად ჩამოყვანა-წაყვანა ვერ უზრუნველჰყო ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებამ, მაშინ როდესაც ადგილი ქონდა მშობლების მრავლად ჩამოყვანის შემთხვევებს, რაც თავის მხრივ მუშაობას ართულებდა.

ზემოთქმული ნაკლოვანებების მიუხედავად ოლიმპიადა ჩატარდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. ჟიურიმ შეაჯამა შედეგები, რომლის გადაწყვეტილებითაც ოქროს მედლებით და პირველი ხარისხის დიპლომებით აღინიშნა: 28 საგუნდო კოლექტივი, 55 ქორეოგრაფიული ანსამბლი, 45 ინდივიდუალური შემსრულებელი, 13 დრამატული კოლექტივი, 6 თოჯინების თეატრი, 17 ვოკალური ანსამბლი, 9 ხალხურ საკრავთა ანსამბლი, 8 ლიტერატურული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია, 2 ოპერა, 3 სასულე ორკესტრი, 3 ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, 70 მხატვრული მკითხველი.

ვერცხლის მედლებით და მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდა: 30 გუნდი, 36 ქორეოგრაფიული ანსამბლი, 12 ხალხურ საკრავთა ანსამბლი, 18 ვოკალური ანსამბლი, 30 ინდივიდუალური შემსრულებელი, 4 დრამატული თეატრი, 50 მკითხველი, 1 სასულე ორკესტრი, 1 ოპერა და 4 ლიტერატურული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია.

ბრინჯაოს მედლები და მესამე ხარისხის დიპლომები მოიპოვა: 35 გუნდმა, 45 ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, 8 მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა კომპოზიციამ, 1 ოპერამ, 7 ხალხურ საკრავთა ანსამბლმა, 1 სასულე ორკესტრმა , 1 ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა, 11 ვოკალურმა ანსამბლმა, 43 ინდივიდუალურმა შემსრულებელმა, 1 დრამატულმა თეატრმა და 16 მკითხველმა.

ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის წამახალისებელი სიგელები დაიმსახურეს: 2 მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა კომპოზიციამ, 1 ოპერამ, 2 გუნდმა, 9 ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, 5 ვოკალურმა ანსამბლმა, 8 ინდივიდუალურმა შემსრულებელმა, 1 მხატვრულმა მკითხველმა.

ჟიურიმ შეფასების გარეშე დატოვა ერთი საოპერო კოლექტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ძირითადად, მოსწავლეთა ესთეტიკური და იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის ბევრი რამ კეთდება და კვლავაც გაკეთდება მათი ესთეტიკური, მხატვრული და შემოქმედებითი დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

საჭიროა დაისვას რამდენიმე საკითხი, რომლის დროული გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მომავალი ოლიმპიადების უფრო მაღალ დონეზე ჩატარებას.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

დადგენილება — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მოსწავლეთა სასულე ორკესტრების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . 3

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის რესპუბლიკაში არსებული სისტემის, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ . 4

გადაწყვეტილება — ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკოლის რეფორმის ძირითადი მოთხოვნებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . 23

ბრძანება № 336 — საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოების ამოცანები, გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ . . 29

Приказ № 336 — О задачах органов народного образования ГССР по выполнению постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма» . . . . . . . . . 37

გადაწყვეტილება — „შპარგალკის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკის აღკვეთის შესახებ“ . . . . . . . . . . 44

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სახალხო განათლების საქალაქო (ქალაქებში რაიონულ) განყოფილებებთან არსებულ ცენტრალიზებულ ბუღალტერიებსა და განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებთან არსებულ ბუღალტერიებში საბუღალტრო აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების 1984 წლის შედეგების შესახებ . . . 46

ცირკულარული წერილი № ფ-1-167/1-ფ — სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებისა და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების შესახებ . 48

Циркулярное письмо № ф-1-167/1-ф — Об эффективном использовании рабочего времени и дальнейшем укреплении трудовой дисциплины 49

Постановление — О Положении об отрядах юных инспекторов движения . . . . . . . . . . 50

ცირკულარული წერილი № 03/14-67-99 — დიდი სამამულო ომის ვეტერანთა და ინვალიდთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ . . . . . . 60

ბრძანება № 379 — გამოსაშვებ გამოცდებზე გამოვლინებულ ზოგიერთ უხეშ დარღვევათა შესახებ . . . . . . . . . . 61

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ . . . . . . . 63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 5/VIII-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-85 წ.წ;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 5,60;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,25.

შეკვეთა № 655 უე 11637 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7